პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 94 (10180) | ხუთშაბათი, 21 აპრილი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მ ო წ ო დ ე ბ ა ნ ი

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა 1955 წ ლ ი ს 1 მ ა ი ს ი ს ა თ ვ ი ს

1. გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ძმობის დღეს!

უფრო მაღლა ავწიოთ პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა! პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

2. ძმური სალამი ყველა ხალხს, რომლებიც იბრძვიან მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის!

3. ყველა ქვეყნის მშრომელებო! მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება, თუ ხალხები მშვიდობის შენარჩუნების საქმეს თავიანთ ხელში აიღებენ და ბოლომდე დაიცავენ მას! განამტკიცეთ ხალხთა ერთიანობა მშვიდობისათვის ბრძოლაში!

გაუმარჯოს ხალხთა შორის მტკიცე მშვიდობას!

4. გაუმარჯოს მთელი მსოფლიოს მშვიდობის მომხრეთა მძლავრ მოძრაობას! ყველა ქვეყნის მშრომელებო, აქტიურად იბრძოლეთ ახალი მსოფლიო ომის საფრთხის წინააღმდეგ, ხალხთა მშვიდობიანი თანამშრომლობისათვის! გაამრავლეთ და დარაზმეთ მშვიდობის მომხრეთა რიგები!

5. ყველა ქვეყნის მშრომელებო! იბრძოლეთ ატომური, წყალბადისა და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვისათვის, შეიარაღების საყოველთაო შემცირებისათვის!

6. დაე მტკიცდებოდეს ხალხთა სოლიდარობა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ბრძოლაში! ევროპის ყველა ხალხის მტკიცე მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის!

7. საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებო! მშვიდობის მტრების ხრიკებს ვუპასუხოთ ჩვენი ძალების შემდგომი დარაზმვით, დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების ამაღლებით! უფრო მჭიდროდ გავაერთიანოთ ჩვენი ღონისძიებანი მშვიდობისათვის, აგრესიის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში!

8. ძმური სალამი დიდ ჩინელ ხალხს, რომელიც წარმატებით იბრძვის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის, თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის, სოციალიზმის საფუძვლების აშენებისათვის!

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა — მთელ მსოფლიოში მშვიდობის მძლავრი ფაქტორი!

9. ძმური სალამი სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელებს, რომლებიც წარმატებით იბრძვიან სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, სახალხო-დემოკრატიულ სახელმწიფოთა ძლიერების განმტკიცებისა და ხალხთა კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სოციალიზმის აშენებისათვის!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს სახალხო-დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა და თანამშრომლობა!

10. ძმური სალამი კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიულ საწყისებზე კორეის ეროვნული გაერთიანებისათვის!

11. ძმური სალამი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირ ხალხს, რომელიც იბრძვის მშვიდობისა და დემოკრატიისათვის, თავისი სამშობლოს სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის!

12. სალამი გერმანიის მშვიდობისმოყვარე ძალებს, რომლებიც იბრძვიან მესამე მსოფლიო ომის კერად დასავლეთ გერმანიის გადაქცევის დანაშაულებრივი პოლიტიკის წინააღმდეგ!

გაუმარჯოს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას — ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლის საიმედო ბურჯს!

13. სალამი ინდოეთის ხალხებს! დაე განმტკიცდეს საბჭოთა კავშირისა და ინდოეთის ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საკეთილდღეოდ!

14. სალამი კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმპერიალისტური ჩაგვრის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის!

15. სალამი აზიისა და აფრიკის ხალხებს, რომლებიც იბრძვიან კოლონიური და რასობრივი ჩაგვრის წინააღმდეგ, საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის!

16. გაუმარჯოს ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობასა და თანამშრომლობას მათს ბრძოლაში საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის უზრუნველყოფისათვის!

17. დაე განმტკიცდეს საბჭოთა კავშირის ხალხებისა და საფრანგეთისა და იტალიის ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა მათს ბრძოლაში მშვიდობისათვის, გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ, ევროპაში კოლექტიური უშიშროების შექმნისათვის!

18. სალამი იაპონელ ხალხს, რომელიც მამაცურად იბრძვის ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, თავისი ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის, მილიტარიზმის აღორძინების და შორეულ აღმოსავლეთში იმპერიალისტთა სამხედრო პლაცდარმად იაპონიის გადაქცევის წინააღმდეგ!

19. სალამი ავსტრიელ ხალხს, რომელიც იბრძვის დემოკრატიული, დამოუკიდებელი და მშვიდობისმოყვარე ავსტრიისათვის!

20. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების ურყევ პოლიტიკას, ახალი ომის მომზადებისა და გაჩაღების წინააღმდეგ ბრძოლის პოლიტიკას, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის განვითარების პოლიტიკას.

21. საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებო! ბეჯითად აიმაღლეთ სამხედრო და პოლიტიკური ცოდნა, სრულყავით თქვენი საბრძოლო ოსტატობა, დაეუფლეთ უახლეს საბრძოლო ტექნიკას და თანამედროვე შეიარაღებას!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს გამარჯვებათა დიდებით მოსილი მამაცი საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც დგანან ჩვენი სამშობლოს მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე!

22. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო, დავრაზმოთ ჩვენი ძალები და შემოქმედებითი ენერგია კომუნისტური საზოგადოების აშენების დიადი საქმისათვის!

23. გაუმარჯოს და განმტკიცდეს მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის კავშირი — საბჭოთა წყობილების ურყევი საფუძველი!

24. გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა — ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ძალისა და ძლიერების წყარო!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! მტკიცედ განახორციელეთ პარტიისა და მთავრობის პოლიტიკა, რომლის მიზანია უპირატესად განვითარდეს მძიმე მრეწველობა — მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი აღმავლობის, ხალხის მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის გაუმჯობესების, ჩვენი სამშობლოს ძლიერებისა და უშიშროების განმტკიცების საფუძველი!

26. მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო, ოსტატებო! იბრძოლეთ ახალ წარმატებათა მისაღწევად მეხუთე ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში! გააჩაღეთ საყოველთაო-სახალხო მოძრაობა შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის! დაუცხრომლად იბრძოლეთ შემდგომი ტექნიკური პროგრესისათვის, წარმოებაში მეცნიერების მიღწევების, უახლესი ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვისათვის!

27. სოციალისტური მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ წარმოების გეგმის შესრულებისათვის, უზრუნველყავით საწარმოთა რიტმული მუშაობა! გამოავლინეთ და გამოიყენეთ მრეწველობის რეზერვები, მიაღწიეთ შრომის დისციპლინის შემდგომ განმტკიცებას, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და თვითღირებულების შემცირებას!

28. ქვანახშირის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ ყველა შახტმა შეასრულოს საწარმოო გეგმები, დანერგეთ წარმოების ორგანიზაციის ციკლური მეთოდი, გააუმჯობესეთ ტექნიკის გამოყენება! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი შახტები და ჭრილები, აითვისეთ მათი საპროექტო სიმძლავრენი! მეტი ქვანახშირი სახალხო მეურნეობას!

29. ნავთობის მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად გაბურღეთ ჭაბურღილები, აღმოაჩინეთ ნავთობისა და გაზის ახალი საბადოები! უფრო ფართოდ დანერგეთ ნავთობის ამოღებისა და გადამუშავების ახალი პროგრესული მეთოდები თვითეულ სარეწზე და ქარხანაში! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალი ხარისხის უფრო მეტი ნავთობი, გაზი და ნავთობპროდუქტები!

30. საბჭოთა მეტალურგებო! გააუმჯობესეთ მეტალურგიული და სამთამადნო საწარმოების სიმძლავრეთა გამოყენება, სრულყავით წარმოების ტექნიკა და ტექნოლოგია! იბრძოლეთ იმისათვის, რომ თვითეულმა საწარმომ მთელი ნომენკლატურით შეასრულოს გეგმები! მეტი თუჯი, ფოლადი, ნაგლინი და ფერადი ლითონები სახალხო მეურნეობას!

31. ელექტროტექნიკური და რადიოტექნიკური მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ მაღალი ხარისხის მოწყობილობის, ხელსაწყოებისა და აპარატურის წარმოება!

32. საბჭოთა ენერგეტიკოსებო! უფრო სწრაფად აამოქმედეთ ახალი სიმძლავრენი ელექტროსადგურებსა და ელექტროქსელებში, გააუმჯობესეთ მათი გამოყენება, შეამცირეთ სათბობის ხარჯვა! უფრო ფართოდ დანერგეთ მოწინავე ტექნიკა!

33. მანქანათმშენებლობის საწარმოთა მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ავტომობილების, ტრაქტორების, კომბაინებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვება! მეტი დიდი წარმადობის მანქანები, ჩარხები და წნეხები სახალხო მეურნეობისათვის!

34. ქიმიური მრეწველობის მუშაკებო! გაადიდეთ მინერალური სასუქებისა და სხვა ქიმიური პროდუქტების წარმოება და გააფართოეთ მათი ასორტიმენტი სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობისათვის!

35. მშენებლო მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! უფრო სწრაფად აშენეთ ახალი საწარმოები, საბჭოთა მეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგურები, საცხოვრებელი სახლები, სკოლები, საავადმყოფოები, საბავშვო და კულტურული დაწესებულებანი! ყოველი ღონისძიებით გაადიდეთ მშენებლობის ინდუსტრიალიზაცია, უფრო ფართოდ დანერგეთ რკინაბეტონის კონსტრუქციები! შეამცირეთ მშენებლობის ღირებულება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი!

36. საშენ მასალათა მრეწველობის მუშებო! გაადიდეთ ცემენტის, ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციების, ახალი საშენი მასალების წარმოება! მეტი მაღალი ხარისხის საშენი მასალები ჩვენი სამშობლოს მშენებლობათათვის!

37. სატყეო, ქაღალდისა და ხისდამმუშავებელი მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გაადიდეთ ხე-ტყის დამზადება და გამოზიდვა, ქაღალდის გამომუშავება! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია, მთლიანად გამოიყენეთ მექანიზმები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მაღალი ხარისხის მეტი ხე-ტყის მასალა, ქაღალდი და ავეჯი!

38. ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო! გააფართოეთ საქონლის წარმოება და ასორტიმენტი, უფრო ეკონომიურად გამოიყენეთ ნედლეული! გამოუშვით მეტი კარგი ხარისხისა და ლამაზი ქსოვილები, კარგი ტანისამოსი, გამძლე და ლამაზი ფეხსაცმელი და სახალხო მოხმარების სხვა საქონელი!

39. სასურსათო საქონლის, ხორცისა და რძის პროდუქტების მრეწველობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ სასურსათო საქონლის წარმოება, გააუმჯობესეთ მისი ხარისხი, შეამცირეთ პროდუქციის თვითღირებულება! მეტი შაქარი, ცხიმეული, ხორცის, რძისა და სხვა პროდუქტები მოსახლეობისათვის!

40. თევზის მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ თევზის ჭერისა და გადამუშავების გეგმის შესრულებისათვის! უკეთ გამოიყენეთ სარეწაო ფლოტი და თევზსაჭერი იარაღები! განავითარეთ თევზის მოშენება, აუმჯობესეთ პროდუქციის ხარისხი და შეამცირეთ მისი თვითღირებულება!

41. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! მივაღწიოთ ყოველ წელიწადს სულ ცოტა 10 მილიარდი ფუთი მარცვლეულის მოყვანას! გაადიდეთ მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები და მათი მოსავლიანობა, შეამცირეთ დანაკარგები მარცვლეულის მოსავლის აღების დროს! უზრუნველვყოთ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების 1955 წლის გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულება!

42. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გააფართოეთ სიმინდის ნათესები — მარცვლეულის წარმოების მკვეთრი გადიდებისა და მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის უმნიშვნელოვანესი წყარო!

43. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! იბრძოლეთ სოციალისტური სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მძლავრი აღმავლობისათვის! დაგეგმვის ახალი წესის საფუძველზე უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები და კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებული რეზერვები! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი, ბამბა, სელი, შაქრის ჭარხალი და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები!

44. კოლმეურნეებო! გაადიდეთ შრომის ნაყოფიერება და განამტკიცეთ შრომის დისციპლინა! შეისწავლეთ და ფართოდ დანერგეთ წარმოებაში მეცნიერებისა და მოწინავე გამოცდილების მიღწევები! უზრუნველვყოთ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის შემდგომი განმტკიცება და ყოველი ღონისძიებით განვითარება, კოლმეურნეობათა შემოსავლის ზრდა და კოლმეურნეთა კეთილდღეობის გაუმჯობესება!

45. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! გაადიდეთ მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, მიაღწიეთ პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ ამაღლებას და მისი სულადობის გადიდებას! მივცეთ ჩვენს ქვეყანას მეცხოველეობის მეტი პროდუქტები!

46. კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! გააფართოეთ ტექნიკური კულტურების, ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოება! მიაღწიეთ მათი მოსავლიანობის გადიდებას!

47. მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაკებო! იბრძოლეთ კოლმეურნეობებში ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობის გადიდებისათვის, საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისათვის, იმისათვის, რომ კოლმეურნეობებმა თავის დროზე შეასრულონ სახელმწიფოს წინაშე სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების ვალდებულებანი! უკეთ გამოიყენეთ ტრაქტორები, კომბაინები და სხვა მანქანები, იბრძოლეთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის!

48. საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო! უკეთ გამოიყენეთ მიწის სავარგულები, გაადიდეთ მინდვრების მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა! შექმენით საბჭოთა მეურნეობებში საკუთარი საკვები ბაზა! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია და ტექნიკის გამოყენება, იბრძოლეთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის და იმისათვის, რომ თვითეული საბჭოთა მეურნეობა სახელმწიფოსაგან დოტაციის მიუღებლად მუშაობდეს! გადავაქციოთ ყველა საბჭოთა მეურნეობა სანიმუშო მაღალსაქონლიან მეურნეობად!

49. ადგილობრივი მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის მუშაკებო! გაადიდეთ სახალხო მოხმარების საქონლის, სამეურნეო ინვენტარისა და საშენ მასალათა წარმოება! გააუმჯობესეთ ნაწარმის ხარისხი და შეამცირეთ თვითღირებულება, უკეთ გამოიყენეთ ადგილობრივი ნედლეული! გააფართოეთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი, გააუმჯობესეთ მათი მუშაობა!

50. სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის მუშაკებო! ყოველი ღონისძიებით გაშალეთ საბჭოთა ვაჭრობა ქალაქად და სოფლად, მიაღწიეთ იმას, რომ დააკმაყოფილოთ მშრომელთა მოთხოვნილება საჭირო საქონელზე! იბრძოლეთ საბჭოთა ვაჭრობის კულტურის ამაღლებისათვის!

51. რკინიგზის ტრანსპორტის მუშაკებო! იბრძოლეთ ტვირთების გადაზიდვის გადიდებისა და მგზავრთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის! მიაღწიეთ ვაგონების ტვირთამწეობის სრულად გამოყენებას, მატარებელთა წონისა და მათი სიჩქარის გადიდებას, ვაგონებისა და ლოკომოტივების ბრუნვის დაჩქარებას! უზრუნველვყოთ რკინიგზების ზუსტი და შეუფერხებელი მუშაობა!

52. საზღვაო და სამდინარო ფლოტის მუშაკებო! იბრძოლეთ ტვირთზიდვის ყოველი ღონისძიებით გადიდებისათვის! უფრო გაბედულად დანერგეთ ფლოტისა და ნავსადგურების ექსპლოატაციის მოწინავე მეთოდები! სანიმუშოდ შევასრულოთ 1955 წლის ნავიგაცია!

53. საავტომობილო ტრანსპორტისა და გზატკეცილების მუშაკებო! გაადიდეთ ტვირთზიდვა, გააუმჯობესეთ მგზავრთა მომსახურება! მიაღწიეთ ავტომობილების ნაყოფიერ გამოყენებას! სანიმუშოდ მოუარეთ გზატკეცილებს, გააფართოეთ ახალი გზების მშენებლობა!

54. კავშირგაბმულობის მუშაკებო! დაუცხრომლად განავითარეთ და სრულყავით კავშირგაბმულობის საშუალებანი! მიაღწიეთ ფოსტის, ტელეგრაფის, ტელეფონის, რადიოს უნაკლო მუშაობას! გააუმჯობესეთ მოსახლეობის მომსახურება!

55. საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! გავაუმჯობესოთ სახელმწიფო აპარატის მუშაობა, აღმოვფხვრათ ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება! გულისხმიერად მოეპყარით მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს! იბრძოლეთ სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებისა და სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის! მივაღწიოთ სახელმწიფო აპარატის გაიაფებას და მასებთან მისი კავშირის შემდგომ გაძლიერებას!

56. სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა და უმაღლეს სასწავლებელთა მუშაკებო! წინ წასწიეთ საბჭოთა მეცნიერება და ტექნიკა! უფრო გაბედულად გააჩაღეთ სამეცნიერო მუშაობის ნაკლოვანებათა კრიტიკა! აამაღლეთ საბჭოთა მეცნიერების როლი სახალხო მეურნეობის განვითარებასა და ჩვენი ქვეყნის ტექნიკური პროგრესის უზრუნველყოფაში! გააუმჯობესეთ სპეციალისტთა მომზადება!

57. ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებო! იბრძოლეთ ლიტერატურისა და ხელოვნების მაღალი იდეურობისათვის, დაუცხრომლად სრულყავით თქვენი მხატვრული ოსტატობა! შექმენით ჩვენი დიდი ხალხის შესაფერი ნაწარმოებნი!

58. სახალხო განათლების მუშაკებო! გააუმჯობესეთ სკოლაში სწავლებისა და აღზრდის ხარისხი! აღზარდეთ ბავშვები საბჭოთა სამშობლოს სიყვარულისა და ერთგულების, ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით! მოამზადეთ სოციალისტური საზოგადოების კულტურული, განათლებული და შრომისმოყვარე მოქალაქენი, კომუნიზმის აქტიური მშენებელნი!

59. მედიცინის მუშაკებო! გააუმჯობესეთ და განავითარეთ სახალხო ჯანმრთელობის დაცვა, აამაღლეთ სამკურნალო და სანიტარულ დაწესებულებათა მუშაობის კულტურა! დანერგეთ პრაქტიკაში მედიცინის მეცნიერების მიღწევები!

60. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის! გაავრცელეთ წარმოების ნოვატორთა გამოცდილება! დაუცხრომლად იზრუნეთ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის შემდგომი ამაღლებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — კომუნიზმის სკოლას!

61. საბჭოთა ქალებო! იბრძოლეთ ახალი წარმატებებისათვის სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის ყველა დარგში, ბავშვების აღზრდის კეთილშობილურ საქმეში საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ!

გაუმარჯოს საბჭოთა ქალებს — კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს!

62. გაუმარჯოს საკავშირო ახალგაზრდობის ლენინურ კომუნისტურ კავშირს — კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს, საბჭოთა ახალგაზრდობის ორგანიზატორს, კომუნისტური პარტიის აქტიურ თანაშემწესა და რეზერვს!

63. ჭაბუკებო და ქალიშვილებო, ჩვენო სახელოვანო საბჭოთა ახალგაზრდობავ! უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეთ სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, ჩვენი ქვეყნის მთელ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში! გულმოდგინედ შეისწავლეთ მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დაეუფლეთ სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცოდნას! იყავით მტკიცენი და გაბედულნი ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის დიადი საქმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

64. პიონერებო და მოსწავლეებო! ბეჯითად და გულმოდგინედ დაეუფლეთ ცოდნას! იყავით შრომისმოყვარენი და დისციპლინიანნი, იბრძოლეთ წარმატებებისათვის სწავლაში!

65. კომუნისტებო და კომკავშირელებო! გულმოდგინედ დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, იყავით ჩვენი სოციალისტური მრეწველობის შემდგომი აყვავებისათვის, სოფლის მეურნეობის მკვეთრი აღმავლობისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის მებრძოლთა ავანგარდში!

66. გაუმარჯოს დიდ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს — ჩვენი ქვეყნის ხალხთა მეგობრობისა და დიდების ბურჯს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის ურყევ დასაყრდენს!

67. გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ დიდ საბჭოთა ხალხს!

68. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის დიდ შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

69. მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

# სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მეათე წლისთავი

## საბჭოთა მთავრობის დელეგაცია ვარშავას გაემგზავრა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად 20 აპრილს მოსკოვიდან ვარშავას გაემგზავრა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ო. ი. ივაშჩენკო, ბელორუსი პოეტი მ. ტანკი და ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ი. ი. მატულისი. (საქდესი).

## ვარშავაში ჩავიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია

ვარშავა, 20 აპრილი. (საქდესი). სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად დღეს ვარშავაში ჩამოვიდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი ი. ს. კონევი, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ო. ი. ივაშჩენკო, ბელორუსი პოეტი მაქსიმ ტანკი (ე. ი. სკურკო) და ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ამხ. ი. ი. მატულისი.

ვარშავაში ოკენჩის ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ბ. ბერუტი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ა. ზავადსკი, პოლონეთის მარშალი კ. როკოსოვსკი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები ზ. ნოვაკი, ი. ბერმანი, ფ. იუქვიაკი, რ. ზამბროვსკი, ს. რადკევიჩი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. მატვინი, საგარეო საქმეთა მინისტრი ს. სკშეშევსკი, მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს წევრები და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე დედაქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე ვარშავაში საბჭოთა საელჩოს პასუხისმგებელი მუშაკები პოლონეთში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ი. ა. მელნიკის მეთაურობით, პოლონეთში აკრედიტებული მთელი რიგი სახელმწიფოების საელჩოებისა და მისიების მეთაურები.

აეროდრომი მორთული იყო სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ალმებით. შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული. ორკესტრმა შეასრულა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის დელეგაციას მიესალმა ბ. ბერუტი. მან თქვა:

— დღეს ჩვენ სახალხო პოლონეთის დედაქალაქში მივესალმებით საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის დელეგაციას ჩვენი ძვირფასი მეგობრის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ხრუშჩოვის მეთაურობით, რომელიც ჩამოვიდა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის 1945 წლის 21 აპრილს დადებული ხელშეკრულების ათი წლისთავთან დაკავშირებულ ზეიმზე.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო ხელისუფალთა და აქ შეკრებილი საზოგადოებრიობის დელეგაციების სახელით, აგრეთვე ჩვენი დედაქალაქის მცხოვრებთა და პოლონელი ხალხის სახელით მსურს გადავცე ჩვენს ძვირფას სტუმრებსა და მეგობრებს უაღრესად მხურვალე და გულითადი მილოცვა და მისალმება.

ის, რომ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ ჩვენს ზეიმზე ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია, რომელიც შედგება პარტიის, მთავრობისა და საბჭოთა ხალხის ასეთი გამოჩენილი წარმომადგენლებისაგან, ჩვენ მიგვაჩნია პოლონელი ხალხისადმი დიდი მეგობრობისა და ძმობის განსაკუთრებულ გამოვლინებად.

დარწმუნებული ვართ, რომ პოლონეთის მიწა-წყალზე ჩვენი ძვირფასი სტუმრების ყოფნა კიდევ უფრო ძლიერ განამტკიცებს და გააღრმავებს ძმობისა და მეგობრობის კავშირს, რომელიც ჩვენ გვაერთებს.

მხურვალედ და გულითადად მივესალმები დელეგაციის მეთაურს — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხ. ხრუშჩოვს, საბჭოთა კავშირის მარშალს ამხ. კონევს, უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხ. ივაშჩენკოს, ბელორუს პოეტ მაქსიმ ტანკს და ლიტვის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს ამხ. მატულისს.

საპასუხო სიტყვა წარმოთქვა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა მთავრობის დელეგაციის სახელით ნება მიბოძეთ დიდი მადლობა გადაგიხადოთ პოლონეთის სახელოვან დედაქალაქ ვარშავაში ჩამოსული ჩვენი დელეგაციის ასეთი გულთბილი, ამაღელვებელი შეხვედრისათვის. სულით და გულით გვსურს მოძმე პოლონელ ხალხთან ერთად აღვნიშნოთ ჩვენი ხალხების ცხოვრების ღირსშესანიშნავი თარიღი — საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავი.

საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულების ხელმოწერიდან განვლილმა ათმა წელმა დამაჯერებლად ცხადყო, რომ ჩვენი ხალხების მეგობრობა და თანამშრომლობა, რომელიც ჩამოყალიბდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის წლებში და განმტკიცებულია ამ ხელშეკრულებით, სავსებით შეესაბამება ჩვენი ხალხების ძირეულ სასიცოცხლო ინტერესებს, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს ჩვენი ქვეყნების ეკონომიკის აღმავლობასა და კულტურის აყვავებაზე, ხელს უწყობს ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების საქმეს.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ საბჭოთა კავშირისა და სახალხო პოლონეთის მეგობრობა და თანამშრომლობა კვლავაც განვითარდება და განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ.

გაუმარჯოს მოძმე პოლონელ ხალხს!

გაუმარჯოს და განმტკიცდეს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურღვევი მეგობრობა!

## მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის ათი წლისთავთან დაკავშირებით 20 აპრილს საბჭოთა მთავრობის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია.

დელეგაციას მეთაურობს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცირანკევიჩი. დელეგაციის შემადგენლობაში არიან: პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. მაზური, პოლონეთის ჯარის გენერალური შტაბის უფროსი და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის მინისტრის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ე. ბორძილოვსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს წევრი და ვარშავის სახალხო საბჭოს თავმჯდომარე ე. ალბრეხტი, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის წევრი და სეიმის დეპუტატი პროფესორი ს. ჟულკევსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის პროფკავშირთა ცენტრალური საბჭოს მდივანი და სეიმის დეპუტატი ს. ვასილკოვსკაია.

ცენტრალურ აეროდრომზე პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ლ. მ. კაგანოვიჩი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ვ. მ. მოლოტოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ვ. ა. მალიშევი და მ. ვ. ხრუნიჩევი, სსრ კავშირის მინისტრები გ. პ. ბეშჩევი, ა. ნ. ზადემიდკო, ი. გ. კაბანოვი, ნ. ა. მიხაილოვი, ი. ტ. სკიდანენკო, ს. მ. ტიხომიროვი, ა. გ. შერემეტიევი, საბჭოთა არმიის გენერალური შტაბის უფროსი საბჭოთა კავშირის მარშალი ვ. დ. სოკოლოვსკი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, ავიაციის მთავარი მარშალი პ. ფ. ჟიგარევი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე პ. ს. კუჩუმოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივნის მოადგილე ა. თ. გორკინი, საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ნ. სოლოვიოვი, გენერალ-პოლკოვნიკი ი. ა. სეროვი, მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. ა. იასნოვი, საბჭოთა ქალების ანტიფაშისტური კომიტეტის თავმჯდომარე და საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი ნ. ვ. პოპოვა, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მე-4 ევროპული განყოფილების გამგე და კოლეგიის წევრი მ. ვ. ზიმიანინი, ქალაქ მოსკოვის კომენდანტი გენერალ-მაიორი ი. ს. კოლესნიკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ე. დ. კისელიოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტები.

დელეგაციას შეხვდნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოს თანამშრომლები სსრ კავშირში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის ვ. ლევიკოვსკის მეთაურობით, აგრეთვე მთელი რიგი სხვა საელჩოებისა და მისიების მეთაურები და თანამშრომლები.

შეხვედრისას ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

აეროდრომი მორთული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით.

მოსკოვს ჩამოსვლისას პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა აეროდრომზე მიკროფონთან გააკეთა შემდეგი განცხადება:

— ძვირფასო მეგობრებო! როგორც პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლები ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავზე ჩამოვედით საბჭოთა კავშირის გმირ დედაქალაქ მოსკოვში და შეგვიძლია პირადად გადმოგცეთ უაღრესად გულითადი და მხურვალე მილოცვა და პოლონელი ხალხის საუკეთესო სურვილები მშვიდობის ბანაკის დედაქალაქის მცხოვრებლებს, საბჭოთა კავშირის გმირ ხალხებს.

მთელი პოლონელი ხალხი, ზეიმით აღნიშნავს რა ჩვენი მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ათი წლისთავს, სიამაყითა და სიხარულით აჯამებს უკანასკნელი ათი წლის დიდ მიღწევებს, მიღწევებს პოლიტიკის, მეურნეობის, ეკონომიკისა და კულტურის დარგში, რომლებიც ამ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოიშვა.

მეგობრობის ხელშეკრულება გახდა ისტორიული მობრუნება ჩვენი ხალხების ურთიერთობაში მეგობრობისა და თანამშრომლობისაკენ, ახალი ხანის დასაწყისი პოლონელი ხალხის ცხოვრებაში, მისი დამოუკიდებლობის გარანტია და საბჭოთა კავშირის დახმარების მეოხებით მან უზრუნველყო ახალი ძლიერი სოციალისტური პოლონეთის განვითარება. ამის მეოხებით პოლონეთს შეუძლია სულ უფრო მზარდი წვლილი შეიტანოს მშვიდობის საერთაშორისო ბანაკის ძალებში, რომელსაც მეთაურობს ჩვენი ნაცადი მეგობარი დიდი საბჭოთა კავშირი.

ჩვენ ჩამოვედით თქვენთან, ძვირფასო მეგობრებო, რათა გითხრათ, რომ პოლონელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ყველაფერი გააკეთოს ჩვენი ხალხების უშიშროების უზრუნველყოფისათვის და მშვიდობის მთელი ბანაკის ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის, რათა მოგითხროთ პოლონელი ხალხის გულითადი გრძნობებზე, მის სურვილზე კვლავაც განავითაროს და განამტკიცოს ურღვევი მეგობრობა, ძმობა და თანამშრომლობა ჩვენს ხალხებს შორის!

გაუმარჯოს ჩვენს ნაცად მეგობარს — დიდ საბჭოთა კავშირს!

გაუმარჯოს ურღვევ მარადიულ მეგობრობას პოლონელ და საბჭოთა ხალხებს შორის! (საქდესი).

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დავალებით ნება მიბოძეთ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების დადების მეათე წლისთავთან დაკავშირებით გულითადად მოგესალმოთ თქვენ და თქვენი სახით მთელ მოძმე პოლონელ ხალხს. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

ამ ხელშეკრულებამ სამარადისოდ დაამკვიდრა საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის ურღვევი მეგობრობა, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები აქვს. ჩვენი ხალხების მეგობრობა განსაკუთრებით განმტკიცდა და გამოიწრთო ჰიტლერელ დამპყრობთა წინააღმდეგ ერთობლივ ბრძოლაში საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

სახალხო პოლონეთის განვითარების განვლილმა ათმა წელმა ცხადყო, თუ რა უდიდეს წარმატებათა მიღწევა შეუძლია ხალხს, რომელიც სამუდამოდ თავისუფლდა კაპიტალიზმის ბორკილისაგან განთავისუფლდა და სოციალისტური მშენებლობის გზას დაადგა. პოლონელმა ხალხმა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელობით განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, გადააქცია თავისი ქვეყანა ნამდვილად თავისუფალ, დამოუკიდებელ სახალხო რესპუბლიკად. სახალხო პოლონეთში უდიდესი გარდაქმნები განხორციელდა სახელმწიფო, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში. იზრდება და მტკიცდება პოლონეთის სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფო, რომლის მკვიდრი საფუძველია მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას ახლა აქვს მძლავრი ინდუსტრია, რომელიც სულ უფრო ვითარდება და რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ წარმატებით განვითარდეს პოლონეთის სოფლის მეურნეობა, მსუბუქი მრეწველობა, ეკონომიკის ყველა დარგი, განუხრელად გაუმჯობესდეს მშრომელთა კეთილდღეობა. პოლონელმა ხალხმა ამ წარმატებებს იმის მეოხებით მიაღწია, რომ იგი თავის ცხოვრებას აშენებს მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ყოვლისშემძლე მოძღვრების საფუძველზე.

ხელმძღვანელობენ რა მარქსიზმ-ლენინიზმის მეცნიერული თეორიით, ევროპისა და აზიის ბევრი ქვეყნის ხალხებმა დაამხეს ექსპლოატატორთა ბატონობა, საკუთარ ხელში აიღეს ძალაუფლება და მტკიცე რწმენით მიდიან სოციალიზმის მშენებლობის გზით. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით იბრძვის ასეულ მილიონობით ადამიანი მთელ მსოფლიოში.

ამ დღეებში მთელი პროგრესული კაცობრიობა ზეიმით აღნიშნავს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის, გენიალური რევოლუციონერისა და მარქსიზმის თეორეტიკოსის, ყველა ქვეყნის მშრომელთა დიდი ბელადისა და მასწავლებლის დაბადების ოთხმოცდამეხუთე წლისთავს.

ლენინიზმი გზას უნათებს მშრომელთა ძლევამოსილ ბრძოლას თავიანთი განთავისუფლებისათვის. ლენინური იდეები, დაეუფლნენ რა მასებს, გადაიქცნენ სოციალისტურ საფუძვლებზე საზოგადოების გარდაქმნის დიად ძალად.

ლენინმა უჩვენა მშრომელ მასებს კაპიტალიზმისაგან განთავისუფლების გზა. მან შექმნა ბოლშევიკების პარტია, რომლის ხელმძღვანელობითაც რუსეთის ხალხებმა მოახდინეს დიდი ოქტომბრის რევოლუცია, შექმნეს მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო.

მხეცური გააფთრებით შეხვდნენ იმპერიალისტები საბჭოების ქვეყნის დაბადებას. მათ მთელი თავიანთი ძალები თავს დაატეხეს მას, მაგრამ დამარცხდნენ და სამარცხვინოდ განდევნილ იქნენ საბჭოთა მიწა-წყლიდან. ლენინიზმის ერთგულმა საბჭოთა ხალხმა ააშენა მძლავრი სოციალისტური სახელმწიფო — მშრომელთა ნამდვილი სამშობლო, მთელ მსოფლიოში მშვიდობის იმედი და დასაყრდენი, მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია ჩვენი ქვეყნის სოციალისტურ გარდაქმნაში.

„ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — იდგება მტკიცედ, როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე“.

დიდი ლენინი აღნიშნავდა, რომ იმპერიალისტები მრავალჯერ შეეცდებიან ხელი შეუშალონ ჩვენს წინსვლას. მას ღრმად სწამდა სოციალიზმის მშენებელი ხალხების უძლეველი შემოქმედებითი ძალები. იმპერიალისტთა ყველა ვარაუდი — ჩაშალონ სოციალიზმის ძლევამოსილი განვითარება, განწირულია ჩასაფუშავად „იმიტომ, — ამბობდა ლენინი, — რომ არ შეიძლება სწორად ივარაუდო, როცა ღადუპვის გზაზე დგახარ“.

ამ დასკვნის დამადასტურებელი თვალსაჩინო მაგალითია მეორე მსოფლიო ომის ამბები. მსოფლიო იმპერიალიზმმა ასაზრდოვა და შეაიარაღა გერმანიის სისხლიანი ფაშიზმი, რომელიც ვარაუდობდა მოესპო საბჭოთა კავშირი, დაემონებინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სხვა ქვეყნების ხალხები. იმპერიალისტი ავაზაკები ანგარიშში მოტყუვდნენ. ჰიტლერული გერმანია განადგურებულ იქნა, ამასთან ფაშისტი ბარბაროსებისადმი ხალხთა სიძულვილმა გამოიწვია მძლავრი ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა, და ომი წარიმართა სრულებითაც არა ისე, როგორც სურდათ წარემართათ ეს ომი იმპერიალისტებს.

როგორც ლენინმა განჭვრიტა, მეორე მსოფლიო ომიდან იმპერიალისტური სამყარო გამოვიდა ახალი უაღრესად სერიოზული ზარალით. ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხებმა დაამხეს, გაანადგურეს კაპიტალიზმი თავიანთ ქვეყნებში, მტკიცედ დაადგნენ სოციალისტური განვითარების გზას.

ამასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ გავიხსენოთ ლენინის ჭეშმარიტად წინასწარმეტყველური სიტყვები, რომლებიც მან თქვა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში: „იმპერიალისტური ომიდან, იმპერიალისტთა სამყაროდან დედამიწის **პირველი ასეული მილიონობით ადამიანი გამოგლიჯა პირველმა ბოლშევიკურმა რევოლუციამ.** შემდეგი რევოლუციები ასეთი ომებიდან და ასეთი სამყაროდან გამოგლეჯენ მთელ კაცობრიობას“.

საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნების ხალხებმა შექმნეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი, რომელიც აერთიანებს 900 მილიონ ადამიანს — მთელი კაცობრიობის მესამედზე მეტს. ამ ბანაკის ქვეყნებს შორის ჩამოყალიბდა ახალი, უმაგალითო ურთიერთობა, რომელიც ემყარება მიზნებისა და ინტერესების ერთობას, თანასწორუფლებიანობისა და ძმური მეგობრობის პრინციპებს. ამ ბანაკის თვითეული ქვეყანა ემყარება გულწრფელ სურვილს — დაეხმარონ ერთმანეთს ახალი ცხოვრების მშენებლობის ყველა დარგში. თვითეული ეს ქვეყანა ნამდვილად არის თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ახორციელებს თავისი ხალხების სასიცოცხლო ინტერესების გამომხატველ პოლიტიკას. ამაში არ შეიძლება არ ვხედავდეთ იმას, რომ ხორცი შეისხა ლენინის დიადმა იდეებმა თავისუფალ და თანასწორუფლებიან ხალხთა მეგობრობის შესახებ, არ შეიძლება არ ვხედავდეთ ინტერნაციონალიზმის პრინციპების გამარჯვებას.

სწორედ ასეთია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობა. განვლილი ათი წლის შედეგებმა მთლიანად დაადასტურა ხელშეკრულებაში გამოთქმული რწმენა, რომ საბჭოთა და პოლონელ ხალხებს შორის მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის შენარჩუნება ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის წარმატებითი ეკონომიური განვითარების საქმეს. საბჭოთა კავშირსა და სახალხო პოლონეთს შორის, სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანას შორის წლითიწლობით მზარდ ეკონომიურ ურთიერთობას თავისი შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს ჩვენი ქვეყნების ხალხებისათვის. ეს ხელს უწყობს სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარებას.

ამას მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი მსოფლიო სოციალისტური ბაზრის შექმნამ, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კაპიტალისტური მონოპოლიებისაგან სახალხო-დემოკრატიული ქვეყნების ეკონომიური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საქმეში.

სულ უფრო ფართოდ ვითარდება პოლონეთისა და საბჭოთა კავშირის კულტურული ურთიერთობა, რაც ურთიერთ ამდიდრებს ჩვენი ხალხების კულტურას.

განვლილმა ათმა წელიწადმა სავსებით დაადასტურა ი. ბ. სტალინის სიტყვები იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ხელშეკრულება მოასწავებს ძირეულ მობრუნებას ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში და წარმოადგენს ახალი დემოკრატიული პოლონეთის დამოუკიდებლობის საწინდარს, მისი ძლიერების, მისი აყვავების საწინდარს. **(ხანგრძლივი ტაში).** საბჭოთა ადამიანებს თქვენთან ერთად ახარებს თქვენი წარმატებანი და ისინი მუდამ მზად არიან თავიანთ ძმას — პოლონეთის ხალხს გაუწიონ ყოველმხრივი მხარდაჭერა და დახმარება მის შემოქმედებითს შრომაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ხელმძღვანელი როლი სახელმწიფოში, მუშათა კლასისა და გლეხობის მტკიცე კავშირი, პოლონელი ხალხის თავდადებული შრომა, მთელი დემოკრატიული ბანაკის დახმარება და მხარდაჭერა — ყოველივე ეს იმის საიმედო გარანტიაა, რომ მამაცი და შრომისმოყვარე პოლონელი ხალხი ახალ, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მიაღწევს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულებას უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს. კავშირი და მეგობრობა საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის, კავშირი და მეგობრობა სახალხო დემოკრატიის ყველა ქვეყანას შორის წარმოადგენს მძლავრ ბურჯს გერმანიის იმპერიალიზმის წინააღმდეგ.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება ითვალისწინებს, რომ საბჭოთა კავშირმა და პოლონეთმა მიიღონ მათს განკარგულებაში არსებული ყველა ღონისძიება, რათა თავიდან აცილებულ იქნას ყოველგვარი საფრთხე აგრესიის გამეორებისა მილიტარისტული გერმანიის ან რომელიმე სხვა სახელმწიფოს მხრივ, რომელიც გაერთიანდებოდა მასთან უშუალოდ ან რაიმე სხვა ფორმით. **(ტაში).** ამავე მიზანს ისახავენ სხვა ანალოგიური ხელშეკრულებანიც, რომლებიც საბჭოთა კავშირმა დადო ევროპის სახალხო-დემოკრატიულ ქვეყნებთან. ამ ხელშეკრულებათა განსაკუთრებული მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი არ არიან მიმართული სხვა ხალხთა წინააღმდეგ, მათ შორის არც გერმანელი ხალხის წინააღმდეგ, ისინი ამოცანად ისახავენ შექმნან თავდაცვის მტკიცე სისტემა გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ.

ისტორიის გამოცდილება მოწმობს, რომ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების საქმე უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია გერმანიის მილიტარიზმის ალაგმვაზე, გერმანიის მილიტარიზმისა, რომელმაც უკანასკნელი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე არაერთხელ გააჩაღა სისხლისმღვრელი ომები და საფრთხე შეუქმნა ევროპის ქვეყნების ეროვნულ დამოუკიდებლობას, აურაცხელი უბედურება დაატეხა თავს ხალხებს. ამიტომ საბჭოთა კავშირი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და ევროპის სხვა დემოკრატიული ქვეყნები ყველაფერს აკეთებენ და კვლავაც გააკეთებენ იმისათვის, რომ არ დაუშვან გერმანიის აგრესიის გამეორება.

ხელშეკრულებანი საბჭოთა კავშირს, პოლონეთსა და აღმოსავლეთ ევროპის სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებს შორის ქმნიან ურთიერთობის ახალ სისტემას ევროპაში, თავისუფალ, სუვერენულ, მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოთა ურთიერთობის ისეთ სისტემას, რომელიც ემსახურება ევროპაში მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფის საქმეს. ამ საქმეს ემსახურება აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის შექმნისათვის ბრძოლაში.

ევროპის უშიშროების საქმისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე საბჭოთა კავშირსა და იუგოსლავიას შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას, რაც მიღწეულია ამ უკანასკნელ ხანს. საბჭოთა კავშირის ხალხები ყოველთვის მეგობრული გრძნობით იყვნენ გამსჭვალული იუგოსლავიის ხალხებისადმი. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობა ნაცვალგების საფუძველზე კვლავაც გაუმჯობესდება და განმტკიცდება.

ამავე მიმართულებით, გაუმჯობესებისაკენ ვითარდება აგრეთვე ურთიერთობა იუგოსლავიასა და პოლონეთს

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მეათე წლისთავი

## ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვის დასასრული

შორის, იუგოსლავიასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას და სხვა ქვეყნებს შორის.

იმპერიალისტური რეაქციის ძალები ახორციელებენ აგრესიის პოლიტიკას, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას და აკოწიწებენ სხვადასხვა ბლოკებს, რომლებიც მიმართულია მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოების წინააღმდეგ. ამ ძალებს უნდა დავუპირისპიროთ მშვიდობისმოყვარე ბანაკის ქვეყნების დარაზმული ძალები, რომლებიც შეიქმნენ მუშათა კლასისა და გლეხობის გამარჯვების შედეგად. ამ ბანაკის სიმტკიცისა და ურყეობის საწინდარია იმ პარტიების მიერ მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების თანმიმდევრული და მტკიცე დაცვა, რომლებიც ამ ქვეყნებს ხელმძღვანელობენ.

ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების პოლიტიკას უპირისპირდება პოლიტიკა იმპერიალისტური სახელმწიფოებისა, რომლებიც აღორძინებენ მილიტარიზმს დასავლეთ გერმანიაში. ანგარიშს არ უწევენ რა ხალხთა სურვილს და ფეხქვეშ თელავენ რა საერთაშორისო ხელშეკრულებებს, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მთავრობები ცდილობენ დააჩქარონ დასავლეთ გერმანიის არმიის შექმნა, რათა გამოიყენონ იგი დაქირავებულ ძალად ახალი ავანტიურებისათვის საბჭოთა კავშირის, პოლონეთისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ.

პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაცია მიღწეულ იქნა საერთაშორისო ურთიერთობის ისტორიაში უმაგალითო მუქარისა და შანტაჟის გამოყენების გზით. ასეთი სამარცხვინო საშუალებით დამტკიცებულ პარიზის შეთანხმებებს არა აქვთ მყარი საფუძველი, რადგან ისინი მიღებულია ხალხთა ნების წინააღმდეგ.

ევროპის ქვეყნების ხალხებს ესმით, თუ რა საფრთხეს წარმოადგენს მათთვის დასავლეთ გერმანიის აღდგენილი არმია, რომელიც შეიარაღებული იქნება ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომგულის იარაღითაც, რომელსაც სათავეში ჩაუდგებიან ჰიტლერელი გენერლები და რომელიც არაფრით არ იქნება შეზღუდული თავის მოქმედებაში.

იმ საფრთხის გამო, რასაც წარმოადგენენ პარიზის შეთანხმებანი, მოსკოვის თათბირის მონაწილე ევროპის რვა ქვეყანამ გადაწყვიტა მიიღონ ღონისძიებანი თავიანთი უშიშროების უზრუნველსაყოფად და დაიწყონ მზადება მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთ დახმარების ხელშეკრულების დასადებად, აგრეთვე შექმნან გაერთიანებული სამხედრო სარდლობა. (**ხანგრძლივი ტაში**).

დემოკრატიული ქვეყნების მთავრობები სხვანაირად ვერ მოიქცევიან ისეთ პირობებში, როცა გერმანიის მილიტარიზმი კვლავ წელში იმართება. სხვანაირად მოქცევა იმას ნიშნავს, რომ გამოვიჩინოთ შეუწყნარებელი უდარდელობა. ჩვენ კი არ გვსურს მოუმზადებლებს მოგვისწრონ და დაუცხრომლად განვამტკიცებთ ჩვენი მშვიდობისმოყვარე ბანაკის ძალასა და ძლიერებას.

საბჭოთა კავშირი მტკიცედ ცდილობდა, რომ ევროპაში შექმნილიყო სრულიად ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემა ევროპის ყველა სახელმწიფოს თანამშრომლობით, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი წყობილებისა, და ამერიკის შეერთებული შტატების მონაწილეობით. მაგრამ ამის მიღწევა ვერ მოხერხდა, იმიტომ რომ ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეები წინააღუდგნენ სრულიად ევროპის თანამშრომლობის განხორციელებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობა ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს სოციალისტური და კაპიტალისტური სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პრინციპები. არის ორი გზა, ორი კურსი საერთაშორისო პოლიტიკაში: ერთი მხრივ, — კურსი, რომელსაც იცავენ საბჭოთა კავშირი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, — ეს არის გადაუწყვეტელი საკითხების მშვიდობიანი გადაჭრის კურსი; და, მეორე მხრივ, იმპერიალისტთა კურსი — გამალებული შეიარაღება და ომისათვის მზადება. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, მხარს უჭერს ორი სისტემის მშვიდობიან თანაარსებობას.

ჩვენ თვალს როდი ვარიდებთ იმას, რომ კაპიტალიზმის ქვეყნებსა და სოციალიზმის ქვეყნებს შორის წინააღმდეგობანი არსებობენ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვართ იმაში, რომ, თუ თანაარსებობის პრინციპს დავიცავთ, შეიძლება უზრუნველვყოთ მშვიდობიანი ურთიერთობა ქვეყნებსა და ხალხებს შორის. საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ კაპიტალისტები კომუნიზმის მოწინააღმდეგენი არიან, სწორედ იმიტომ, რომ კაპიტალისტები არიან. ცხადია, კომუნისტები და მათი თანამგრძნობი მშრომელთა ფართო მასები მოწინააღმდეგენი არიან კაპიტალიზმისა, რომელიც წარმოადგენს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის სისტემას, წარმოშობს გამანადგურებელ კრიზისებს და გამანადგურებელ ომებს, ტანჯვა და უბედურება მოაქვს ადამიანთა დიდი უმრავლესობისათვის.

როგორც უნდა სურდეთ კაპიტალისტებს და მათ მთავრობებს მოსპონ სოციალისტური ბანაკი, ეს მათზე არ არის დამოკიდებული. სოციალიზმის ბანაკი განუხრელად იზრდება და მტკიცდება, ისევე როგორც ვითარდება და იზრდება ყოველივე ახალგაზრდა, ჯანსაღი, პროგრესული. (**ტაში**). ახლა ცოტა მოინახება ისეთი უგუნური, რომელმაც სერიოზულად დაიჯეროს, რომ შესაძლებელია ისტორიული განვითარების მსვლელობის უკან დაბრუნება.

ამავე დროს უნდა ითქვას, რომ ახლა უკვე ცოტას სჯერა ლეგენდები, რომლებსაც იმპერიალიზმის იდეოლოგები ავრცელებენ იმის შესახებ, რომ სოციალიზმის ქვეყნები ძალით ახვევენ თავს სხვა ხალხებს თავიანთ საზოგადოებრივ წყობილებას. რევოლუციები გარედან როდი მოდის. ისინი ხდება ყოველ ქვეყანაში მშრომელთა და ექსპლოატატორთა შორის შინაგან წინააღმდეგობათა შედეგად. დროა ეს ანბანური ჭეშმარიტება შეითვისონ ბატონმა იმპერიალისტებმა.

თუ სალად შევხედავთ რეალურ ფაქტებს და ძალთა თანაფარდობას, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მშვიდობიანი თანაარსებობა განვითარების ერთადერთი სწორი და გონივრული გზაა.

საერთაშორისო ურთიერთობის დარგში საბჭოთა კავშირს თავის მთავარ ამოცანად მიაჩნია დაძაბულობის შენელება საერთაშორისო ურთიერთობაში, ყველა ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცება და განვითარება, მტკიცე და ხანგრძლივი მშვიდობის უზრუნველყოფა. იმის ერთ-ერთ მკაფიო გამოვლინებას, რომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის მშვიდობიანი გზით გადაჭრას გადაუწყვეტელი საკითხები, წარმოადგენს ამას წინათ მოსკოვში დამთავრებული საბჭოთა კავშირ-ავსტრიის მოლაპარაკება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების შესახებ. ამ მოლაპარაკებას დიდი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საქმეში და მოწმობს იმას, რომ, თუ ორივე მხრიდან არის სურვილი და კეთილი ნება, შეიძლება მშვიდობიანი გზით გადაიჭრას და კიდევაც უნდა გადაიჭრას საერთაშორისო საკითხები.

მთელი მსოფლიოს მშვიდობის უზრუნველყოფაში დიდი წვლილი შეაქვთ აზიისა და აფრიკის ხალხებს. ისინი საკუთარ ხელში იღებენ თავიანთი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრას და სულ უფრო მტკიცედ ილაშქრებენ კოლონიური ჩაგვრის, ომის მომზადების იმპერიალისტური პოლიტიკისა და კოლონიურ სახელმწიფოთა იარაღად ხალხთა გამოყენების წინააღმდეგ. ამ საქმეში დიდ როლს ასრულებს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელიც ამ დღეებში მიმდინარეობს ბანდუნგში.

იმპერიალისტები აღვივებენ მტრობას ხალხებს შორის და განსაკუთრებით ცდილობენ აღუძრან კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებს საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნებისადმი მტრობის გრძნობა.

კაპიტალისტური სახელმწიფოების, და განსაკუთრებით ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი თვალსაჩინო მოღვაწე ცინიკური გულახდილობით გაჰყვირის მთელი სახელმწიფოების მოსპობის, ქალაქების დანგრევის, მილიონობით ადამიანის გაჟლეტის გეგმების შესახებ. განა ყოველივე ეს მოწმობს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მმართველი წრეების მისწრაფებას მშვიდობისადმი? ამერიკის შეერთებული შტატების ბევრი გაზეთი და ჟურნალი თავშეუკავებლად გაჰყვირის ომისათვის მზადებაზე. და ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ქმნის განიარაღების საკითხთა უწყებას. განა უმჯობესი არ იქნებოდა ასეთი უწყების შექმნის ნაცვლად აეკრძალათ ომის პროპაგანდა, როგორც ეს საბჭოთა კავშირში, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში მოხდა? (**ტაში**). განა უმჯობესი არ იქნებოდა მიეღოთ საბჭოთა კავშირის წინადადება იმის შესახებ, რომ აიკრძალოს ატომური და წყალბადის იარაღის გამოყენება და მისი წარმოება? განა უმჯობესი არ იქნებოდა შევჯიბრებოდით ერთმანეთს არა ადამიანთა მასობრივი გაჟლეტის იარაღის წარმოებაში, არამედ ატომის ენერგიის სამშვიდობო მიზნებით გამოყენებაში?

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ნათელი განცხადებანი გააკეთა გამალებული შეიარაღების შეწყვეტის საკითხებზე, და ამ საქმეში ჩვენ მხარს გვიჭერს მთელი პროგრესული კაცობრიობა.

იმპერიალისტები თხზავენ ზღაპრებს „რკინის ფარდის" შესახებ, რომლითაც საბჭოთა კავშირი თითქოს გაემიჯნა კაპიტალისტურ სამყაროს. ვნახოთ, ნამდვილად ვინ ქმნის ამ ფარდას. ამ უკანასკნელ წლებში საბჭოთა კავშირში ძალიან ბევრი ადამიანი ჩამოდიოდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ინგლისიდან და სხვა კაპიტალისტური ქვეყნებიდან. მათ შორის ბევრი იყო ბურჟუაზიის წარმომადგენელი, საკმაოდ რეაქციული ადამიანები, რომლებიც ქადაგებენ სრულიადაც არა პროგრესულ შეხედულებებს. მაგრამ მათ ნება ეძლეოდათ ჩამოსულიყვნენ საბჭოთა კავშირში და ისინი ყველგან დადიოდნენ, არ ხვდებოდნენ დაბრკოლებებს თავიანთ გზაზე „რკინის ფარდის" სახით, რომელზეც ესოდენ ბევრს წერს ბურჟუაზიული პრესა.

ხოლო რას შვრებიან ამერიკის მმართველი წრეები? ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში არ უშვებენ მშვიდობისმოყვარე ადამიანებს, ადამიანის ღირსების დამამცირებელ პირობებს უყენებენ საბჭოთა მოქალაქეებს, რომლებიც ამერიკის შეერთებულ შტატებში არიან მიწვეული. მაშასადამე, საბჭოთა კავშირში კი არ ყოფილა „რკინის ფარდა"; იგი შექმნილია ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ან ავიღოთ სავაჭრო ურთიერთობის განვითარება. ამერიკის შეერთებული შტატები უკრძალავენ მათზე დამოკიდებულ ქვეყნებს თავისუფალ საერთაშორისო ვაჭრობას, განსაკუთრებით დემოკრატიული ბანაკის ქვეყნებთან. მათ სურთ მოგვყიდონ ჩაწოლილი საქონელი, რომელსაც ვერ ასაღებენ და ამასთან გვეუბნებიან, გვსურს სანაცვლოდ სტრატეგიული ნედლეული მივიღოთო. გასაგებია, რომ ვერც ერთი სახელმწიფო, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, ასეთ კაბალურ პირობებზე ვერ დათანხმდება. ჩვენ ვამბობდით და ვამბობთ — მოდით ვივაჭროთ თანასწორ საწყისებზე. ასეთი ვაჭრობა ხელს შეუწყობს ხალხთა დაახლოებას, უკეთეს ურთიერთგაგებას მათ შორის.

ამერიკის შეერთებული შტატების რეაქციული წრეები ომის ისტერიის გასაღვივებლად იყენებენ პრესას, რადიოს, პროპაგანდის ყველა საშუალებას, ამასთან ისინი აგრესიულ პოლიტიკად სახავენ საბჭოთა კავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების პოლიტიკას.

ვისთვის არ არის ნათელი, რომ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი დაქირავებული მსახურნი ყვირიან საბჭოთა კავშირისა და სხვა დემოკრატიული ქვეყნების აგრესიულობასა და დაუთმობლობაზე, რათა თავიანთი ქვეყნების საზოგადოებრივი აზრის წინაშე გაამართლონ ის, რომ იმპერიალისტები ახალ ომს ამზადებენ. ამ პროპაგანდას უმთავრესად იმისათვის ეწევიან, რომ გაამართლონ ზრდა მშრომელთათვის დაკისრებული გადასახადებისა, რომლებიც ხმარდება გამალებულ შეიარაღებას, რაც უზრუნველყოფს კაპიტალისტურ მონოპოლიათა უდიდეს მოგებას.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა სახელმწიფოთა ბევრი პოლიტიკური მოღვაწე ცდილობს ჩააგონოს თავისი ქვეყნების ხალხებს, რომ სოციალისტური ბანაკის სახელმწიფოებთან არ შეიძლება შეთანხმება, რომ მათთან ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ „ძალის პოზიციიდან". მათ წარმოიდგინეს, რომ დაშინებისა და შანტაჟის გზით შეუძლიათ მიაღწიონ თავიანთ მიზანს. მაგრამ, თუ ასეთი ხერხები ჯერ კიდევ მოქმედებს დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზოგიერთ სუსტნერვიან მოღვაწეზე, ეს ხერხები სრულიად გამოუსადეგარია საბჭოთა კავშირთან, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნებთან ურთიერთობაში. (**ტაში**).

მთელმა მსოფლიომ იცის, რომ საბჭოთა კავშირს არასოდეს არ შინებია და არ ეშინია მუქარისა. ყველას ახსოვს როგორ ხატავდა ჩვენს მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას, როგორც სისუსტის შედეგს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის ბევრი ბეცი მოღვაწე მეორე მსოფლიო ომის წინაპერიოდში. მეორე მსოფლიო ომის წლებში მთელი მსოფლიო დარწმუნდა სოციალიზმის ქვეყნის ძალასა და ძლიერებაში. ჩვენი ხალხი მით უმეტეს დარწმუნებულია თავის ძალებში ახლა, როცა განუზომლად გაიზარდა საბჭოთა კავშირის ძლიერება. (**ტაში**).

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში ვიქონიოთ, რომ ძალთა თანაფარდობა მსოფლიოში ომისშემდგომი პერიოდის მანძილზე ძირეულად შეიცვალა. მძლავრ სახელმწიფოდ გადაიქცა დიდი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა. დღითიდღე მტკიცდებიან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა და სახალხო დემოკრატიის სხვა ქვეყნები. სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები იმპერიალისტ აგრესორთა ძალებზე უფრო ძლიერი არიან. მარტო ავანტიურისტებს შეუძლიათ ანგარიში არ გაუწიონ ამას. ეჭვი არ არის, რომ თუ იმპერიალისტები გააჩაღებენ ახალ მსოფლიო ომს, იგი დამთავრდება მთელი მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის კრახით. (**მქუხარე, ხანგრძლივი ტაში**).

სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები ფხიზლად ადევნებენ თვალყურს იმპერიალისტ აგრესორთა ხრიკებს, კიდევ უფრო მჭიდროდ რაზმავენ თავიანთ რიგებს, განამტკიცებენ ერთიანობას მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის ბრძოლაში. ისინი განუხრელად ავითარებენ სახალხო მეურნეობას, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. ეს არის ჩვენი ქვეყნების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის საიმედო გარანტია.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანებმა, საკუთარი გამოცდილებით ვიცით, რომ მძიმე ინდუსტრია ყოველთვის იყო და იქნება მთელი სახალხო მეურნეობისა და ჩვენი ქვეყნის ურყევი თავდაცვისუნარიანობის საფუძველი, მსუბუქი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარების წყარო, ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესების წყარო. ამასთან ჩვენ ყოველთვის ვხელმძღვანელობდით და ვხელმძღვანელობთ დიდი ლენინის მოძღვრებით, რომელიც ამბობდა, რომ „მსხვილი მანქანური მრეწველობა და მისი გადატანა მიწათმოქმედებაში არის სოციალიზმის ერთადერთი ეკონომიური ბაზა, კაპიტალის უღლისაგან კაცობრიობის ხსნისათვის წარმატებით ბრძოლის ერთადერთი ბაზა..."

ძვირფასო ამხანაგებო და მეგობრებო!

ჩვენი ქვეყნების ხალხები წარსულში ერთად იბრძოდნენ საერთო მტრის — მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, რუსი და პოლონელი მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ, თავიანთი სოციალური განთავისუფლებისათვის. ერთად იბრძოდნენ ისინი გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ. ომისშემდგომ დროს, აი უკვე ათი წელიწადია ჩვენ მტკიცედ მივდივართ ხელიხელ ჩაკიდებულნი ახალი სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზით.

პოლონელი ხალხის დიდი შვილი, ლენინის მოწაფე და თანამებრძოლი, რევოლუციის უშიშარი რაინდი ფელიქს ძერჟინსკი დაახლოებით 30 წლის წინათ წერილში დოვბიშის მუშებისადმი, ლაპარაკობდა რა პოლონეთის ბედზე, ოცნებობდა ენახა „სოციალისტური პოლონეთი — თავისუფალი და კაპიტალისტურ სახელმწიფოთაგან დამოუკიდებელი, ძლიერი თავისი კავშირით საბჭოთა რესპუბლიკების კავშირთან". ეს ოცნება განხორციელებულია. (**ხანგრძლივი ტაში**).

დღეს, აღვნიშნავთ რა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ხელმოწერის მეათე წლისთავს, ჩვენ მტკიცე რწმენას გამოვთქვამთ, რომ მეგობრობა, ურთიერთდახმარება და ძმური თანამშრომლობა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს შორის განუხრელად გაიზრდება და განმტკიცდება ჩვენი ხალხების საკეთილდღეოდ და საბედნიეროდ. (**ხანგრძლივი ტაში**).

ჩვენ ერთად მივდივართ ლენინური გზით ერთიანი მიზნისაკენ. უქრობ შუქურად გვინათებს სოციალიზმისათვის ბრძოლის ამ გზას უკვდავი ლენინის უკვდავი მოძღვრება. (**ხანგრძლივი ტაში**).

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკი! (**ხანგრძლივი ტაში**).

გაუმარჯოს საბჭოთა და პოლონელი ხალხების ურღვევ მეგობრობას! (**მქუხარე ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან**).

გაუმარჯოს მოძმე პოლონელ ხალხს! (**ხანგრძლივი ტაში**).

გაუმარჯოს პოლონეთის სახალხო მთავრობას! (**ხანგრძლივი ტაში**).

გაუმარჯოს პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიას, რომელსაც პოლონელი ხალხი მიჰყავს სოციალიზმის მშენებლობის ნათელი გზით! (**მთელი დარბაზის მქუხარე, ხანგრძლივი ოვაცია. ყველანი ფეხზე დგებიან**).

## საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა ძმური მეგობრობა

20 აპრილს მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში, გაიმართა საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ხელმოწერის ათი წლისთავისადმი.

პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო საზოგადოების და სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს მიწვევით კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში შეიკრიბნენ დედაქალაქის ფაბრიკებისა და ქარხნების მოწინავე მუშები, თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, საბჭოთა არმიის წარმომადგენლები, მოსწავლე ახალგაზრდობა.

საზეიმო კრების პრეზიდიუმში არიან ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ა. ნ. კოსიგინი, ვ. ა. მალიშევი, ი. თ. თევოსიანი, მ. ვ. ხრუნიჩევი, მოსკოვის პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ი. ცირანკევიჩის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ვ. ლევიკოვსკი, პოლონეთის პროფკავშირთა დელეგაცია, პოლონეთის საზოგადო და კულტურის მოღვაწეთა დელეგაცია.

კრება გახსნა საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ლ. ნ. სოლოვიოვმა, რომელმაც აღნიშნა საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების უდიდესი მნიშვნელობა ორივე ქვეყნისათვის და მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის შემდგომი განმტკიცებისათვის. მან მისალმების სიტყვებით მიმართა დარბაზში მყოფ სტუმრებს — მოძმე პოლონელი ხალხის წარმომადგენლებს.

მოხსენება „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების მეათე წლისთავი" გააკეთა სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ნ. ა. მიხაილოვმა. მან განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ისტორიული ხელშეკრულებით დაიწყო სრულიად ახალი ურთიერთობა ორ სახელმწიფოს შორის. ამ ურთიერთობის საფუძველია ერთიანი საერთო მიზანი — ბრძოლა მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, სოციალიზმისათვის.

— არავითარი ეჭვი არ არის, — თქვა მომხსენებელმა, — რომ საბჭოთა და პოლონელი ხალხების კეთილშობილური და ნათელი მეგობრობა, რაც ბრძოლების ცეცხლში გაიზარდა და განმტკიცდა, კვლავაც გაიზრდება და განმტკიცდება. ეს მეგობრობა სამარადისო და ურღვევი იქნება.

კრებაზე მგზნებარე სიტყვა წარმოთქვა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ცირანკევიჩმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ. დასასრულ მან წაიკითხა წერილი, რომლითაც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიმართავენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭო და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე მოსკოვის სახნავი ჩარხების ქარხნის ხარატმა პ. ბ. ბიკოვმა და აკადემიკოსმა ა. ვ. ტოფჩიევმა.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი პოლონელი და საბჭოთა მსახიობების მონაწილეობით. (საკდესი).

## საზეიმო სხდომა ვარშავაში

ვარშავა, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს ვარშავაში გაიმართა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლისთავისადმი. სხდომა მოიწვიეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ.

პოლონეთის სახელმწიფო თეატრის დარბაზში, თეატრისა რომელიც მორთულია საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ალმებით, შეიკრიბნენ პარტიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ვარშავის საწარმოთა მუშები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების აქტივისტები. სხდომაზე მოვიდნენ ბ. ბერუტი, ა. ზავადსკი, კ. როკოსოვსკი და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და პოლონეთის მთავრობის სხვა ხელმძღვანელები.

პრეზიდიუმში გამოჩნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. შეკრებილნი მქუხარე ტაშით შეხვდნენ დელეგაციას.

სხდომას დაესწრნენ სსრ კავშირის საქმეთა დროებითი რწმუნებული პოლონეთში ი. ა. მელნიკი, დემოკრატიული ბანაკის სახელმწიფოთა საელჩოების მეთაურები.

სხდომა გახსნა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ. იგი გულითადად მიესალმა საბჭოთა კავშირის მთავრობის დელეგაციას ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ათი წლისთავის გამო ა. ზავადსკიმ მხურვალე მილოცვა გადასცა საბჭოთა ხალხს, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას. მან შემდგომი წარმატებანი უსურვა საბჭოთა ხალხს კომუნიზმის მშენებლობაში.

პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების ათი წლისთავის შესახებ მოხსენება გააკეთა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბ. ბერუტმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ბ. ბერუტს არაერთხელ შეაწყვეტინეს მოხსენება მქუხარე ტაშით პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მზარდი მეგობრობის აღსანიშნავად.

შემდეგ სიტყვა მიეცა ნ. ს. ხრუშჩოვს. შეკრებილნი ხანგრძლივი ტაშით მიესალმნენ საბჭოთა მთავრობის დელეგაციის მეთაურს, რომელიც ტრიბუნაზე გამოჩნდა. ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მისასალმებელი სიტყვა სხდომამ უდიდესი ყურადღებით მოისმინა. მისალმების უკანასკნელ სიტყვებს მქუხარე ოვაციით შეხვდნენ.

ა. ზავადსკი დახურულად აცხადებს სხდომას. ყველანი ფეხზე დგებიან და ასრულებენ პარტიულ ჰიმნს „ინტერნაციონალს".

საზეიმო სხდომის შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ვარშავის თეატრების მსახიობებმა და საბჭოთა მსახიობებმა, რომლებიც პოლონეთს ჩამოვიდნენ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების ათი წლისთავის დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად.

## ვარშავაში გვირგვინებით შეამკეს საბჭოთა მეომრების სასაფლაო-მავზოლეუმი

ვარშავა, 20 აპრილი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის ხელშეკრულების 10 წლისთავთან დაკავშირებით ვარშავაში საბჭოთა მეომრების სასაფლაო-მავზოლეუმი საზეიმო ვითარებაში შეამკეს გვირგვინებით.

პირველი გვირგვინი მიიტანა საბჭოთა მთავრობის დელეგაციამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით. შემდეგ გვირგვინები მიიტანეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისაგან — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ბოლესლავ ბერუტმა, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოსაგან — სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ ა. ზავადსკიმ, მინისტრთა საბჭოსაგან — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ზ. ნოვაკმა, ეროვნული თავდაცვის სამინისტროსაგან — პოლონეთის მარშალმა კ. როკოსოვსკიმ, პოლონეთის ახალგაზრდობის კავშირისაგან—კავშირის მთავარი გამგეობის მდივანმა ი. შიდლიაკმა.

გვირგვინით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრები, მთავრობის წევრები და სახელმწიფო საბჭოს წევრები, სეიმის დეპუტატები და პოლონეთის დედაქალაქის მშრომელთა დელეგაციები.

დაესწრნენ აგრეთვე სსრ კავშირის ვარშავის საელჩოს თანამშრომლები პოლონეთში სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებულის ი. ა. მელნიკის მეთაურობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების გამო

პარიზი, 18 აპრილი. (საკდესი). პარიზის გაზეთებმა თვალსაჩინო ადგილზე გამოაქვეყნეს ცნობები, რომლებშიც მოყვანილია შინაარსი სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებისა ახლო და შუა აღმოსავლეთში უშიშროების შესახებ. ზოგიერთმა გაზეთმა ამ ცნობებს თავისი კომენტარები დაურთო.

გაზეთი „ფრან-ტირერი" შეშფოთებას გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ საბჭოთა კავშირის პოზიციას შეუძლია ხელი შეუწყოს ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნების „ნეიტრალიზაციას" (ამასთან „ნეიტრალიზაციად" გაზეთი გულისხმობს უარს სამხედრო ბლოკებში მონაწილეობაზე). აღნიშნავს რა, რომ აღმოსავლეთი, რომელსაც ღრღნიან შინაუთანხმოებანი და რომელმაც ბოლო მოუღო კოლონიურ ერას, გულმოდგინედ ეძებს მტკიცე პოლიტიკას, სოციალური პროგრესისა და უშიშროების გზებს", გაზეთი ღვარძლიანად დასძენს: „სსრ კავშირი შუა აღმოსავლეთის ქვეყნებს სთავაზობს ნეიტრალიტეტს და მათი დამოუკიდებლობის დამცველის როლში გამოდის".

გაზეთი „ლიბერასიონი" კომენტარს უკეთებს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას და ახასიათებს იმ აგრესიულ პოლიტიკას, რომელსაც ახლო აღმოსავლეთში დასავლეთის ზოგიერთი სახელმწიფო ახორციელებს. „სავსებით ცხადია, — წერს ამასთან დაკავშირებით გაზეთი, — რომ ნავთობი და სტრატეგია მართლაც საფუძვლად უდევს იმ პოლიტიკას, რომელიც მოსკოვმა ამხილა". გაზეთი აღნიშნავს, რომ ამჟამად ინგლის-ამერიკის ზეგავლენა ახლო და შუა აღმოსავლეთის ქვეყნებზე „უმაღლეს წერტილს აღწევს".

შემდეგ „ლიბერასიონი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებამ შეშფოთება გამოიწვია ვაშინგტონსა და ლონდონში, რადგან „ამ განცხადებას შეიძლება მოჰყვეს ნეიტრალიზმის სულისკვეთების გაძლიერება", რასაც, თავის მხრივ, გაზეთის სიტყვით, შეუძლია გამოიწვიოს ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის იმ აგრესიული გეგმების ჩაფუშვა, რომელთა მიზანია სამხედრო ბაზებით დემოკრატიული ქვეყნების გარემოცვა.

## „დაუცხრომლად განვამტკიცოთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა"

ვარშავა, 19 აპრილი. (საკდესი). „დაუცხრომლად განვამტკიცოთ პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობა!", „დავიცვათ მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, როგორც ყველაზე ძვირფასი განძი!" — ასეთი ლოზუნგებით მიმდინარეობს მთელ პოლონეთში საზეიმო კრებები და საღამოები, მიძღვნილი საბჭოთა კავშირ-პოლონეთის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ 1945 წლის 21 აპრილს დადებული ხელშეკრულების მეათე წლისთავისადმი.

მშრომელთა ხალხმრავალი კრება გაიმართა ი. ბ. სტალინის სახელობის სილეზიის შახტში. სილეზიელმა მაღაროელებმა წერილი გაუგზავნეს ი. ბ. სტალინის სახელობის შახტის მაღაროელებს დონბასში. წერილში ნათქვამია: „ჩვენ მადლობელი ვართ და არასოდეს არ დავივიწყებთ იმას, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებმა დახმარების ძმური ხელი გამოგვიწოდეს მძიმე დროში. საბჭოთა კავშირის გამოცდილება და მაგალითი გვეხმარება ჩვენს ყოველდღიურ შრომაში. სიტყვას გაძლევთ, რომ დაუცხრომლად განვამტკიცებთ მეგობრობასა და ძმობას საბჭოთა კავშირის ხალხებთან. არ დავიშურებთ ძალღონეს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის ბრძოლაში".

ქარხანა „ბაილდონის" მეტალურგებმა მილოცვის წერილი გაუგზავნეს ურალის მძიმე მანქანათმშენებლობის ქარხნის კოლექტივს სვერდლოვსკში. მრავალი წერილი გაუგზავნეს საბჭოთა მეგობრებს აგრეთვე სახალხო პოლონეთის ბევრი სხვა საწარმოს კოლექტივებმა.

კელცის სავოევოდოს ქალაქ ოპოჩნოში გაიმართა მშრომელთა შეხვედრა ი. ბ. სტალინის სახელობის ვარშავის კულტურისა და მეცნიერების სასახლის საბჭოთა მშენებლებთან. შეხვედრა გადაიქცა პოლონელი და საბჭოთა ხალხების ურღვევი მეგობრობის დემონსტრაციად.

## გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის განცხადება

### გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისათვის დრეზდენის გალერიის სურათების გადაცემის გამო

ბერლინი, 19 აპრილი. (საკდესი). გამოქვეყნდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატის პრეზიდიუმის განცხადება საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილების გამო — გადასცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას დრეზდენის გალერიის სურათები. განცხადებაში ნათქვამია:

საბჭოთა კავშირის მთავრობის ცნობამ დრეზდენის გალერიის ძვირფასი სურათების დაბრუნების შესახებ დიდი სიხარული გამოიწვია გერმანელ ხალხში და გულწრფელი მადლობის გრძნობით აღუვსო გული გერმანელებს.

ათი წლის წინათ საბჭოთა ჯარისკაცებმა მრავალი ერის უდიდეს ოსტატთა გენიალური ქმნილებანი გადაარჩინეს დაღუპვას, რაც მათ მოელოდათ მეორე მსოფლიო ომის დასასრულს. რათა თავიდან აეცილებინა ამ სურათებისათვის ყოველგვარი ახალი შესაძლო საფრთხე ომისშემდგომი დროის პირველ შფოთიან წლებში, საბჭოთა კავშირის მთავრობამ უზრუნველყო ამ ძვირფასი სურათების დაცვა, რომ დაებრუნებინა ისინი გერმანელი ხალხისათვის, როგორც კი სამისო პირობები შეიქმნებოდა. თუ საბჭოთა კავშირის მთავრობამ განაცხადა, რომ ეს მომენტი დადგა, და ამ ძვირფას სურათებს უბრუნებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას შესანახად მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებისათვის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას მიაჩნია, რომ ეს არის საბჭოთა კავშირის ხდომის ახალი დიდი დადასტურება.

ამიტომ დრეზდენის გალერიის 750 სურათის დაბრუნება მთელ გერმანელ ხალხს და განსაკუთრებით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობას აკისრებს დიდ მოვალეობას — დაამტკიცოს, რომ იგი ღირსია ამ ნდობისა. ამიტომ ყველა გერმანელი, ვისაც სამშობლო უყვარს, კიდევ უფრო მეტი ძალით შეეცდება შექმნას ერთიანი, დემოკრატიული, მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელი გერმანია.

## აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციაზე

ბანდუნგი, 19 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის დილის პლენარულ სხდომაზე გრძელდებოდა საერთო დისკუსია.

სხდომის დასაწყისში კონფერენციის გენერალურმა მდივანმა რუსლან აბდულა განიმ (ინდონეზია) გამოაქვეყნა კონფერენციის სახელზე მიღებული მისალმება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის კ. ე. ვოროშილოვისა და მთელი რიგი სხვა მისალმებანი. მან აღნიშნა, რომ კონფერენციამ მიიღო სხვადასხვა პირისა და ორგანიზაციის 300-ზე მეტი მისასალმებელი წერილი.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ეთიოპიის, იაპონიის, იორდანიის, ლაოსის, ლიბანის, ლიბერიის, ლიბიის, ნეპალის, პაკისტანის, ფილიპინებისა და სუდანის დელეგატებმა.

ეთიოპიის წარმომადგენლის სიტყვა შეიცავდა მოწოდებას, რომ სრულიად მოისპოს კოლონიური რეჟიმები აზიასა და აფრიკაში. აღნიშნა რა, რომ საჭიროა აზიისა და აფრიკის ქვეყნების რაც შეიძლება სწრაფი ეკონომიური განვითარება, ეთიოპიის დელეგატმა განაცხადა, რომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა შეუძლებელია, თუ არ იქნა ეკონომიური დამოუკიდებლობა.

იაპონიის დელეგატმა ტაკასაკიმ თავის გამოსვლაში მთავარი ყურადღება დაუთმო კონფერენციაზე წარმოდგენილ ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური თანამშრომლობის დამყარების საკითხს. შეეხო რა საერთაშორისო მდგომარეობას, იაპონიის დელეგატმა აღნიშნა საერთაშორისო ვითარების დაძაბულობა და მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს გულდასმით შეისწავლონ ფაქტორები, რომლებიც საფუძვლად უდევს ამ დაძაბულობას, რათა მიაღწიონ მათს აღმოფხვრას. ტაკასაკიმ მოაგონა დამსწრეთ, რომ იაპონია მსოფლიოში ერთადერთი ქვეყანაა, რომელმაც განიცადა ატომური დაბომბვის საშინელებანი.

იაპონიის წარმომადგენელმა შემდეგ განაცხადა, რომ იაპონია უარყოფს ომს, როგორც ეროვნული პოლიტიკის იარაღს, და გმობს მას, როგორც საერთაშორისო კონფლიქტების გადაჭრის მეთოდს. მან თქვა: „მსოფლიოს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება ის, რომ აიკრძალოს ძალის გამოყენება მსოფლიოს ყველა ნაწილში და ჩვეულებად დაწესდეს, რომ ყოველგვარი საერთაშორისო დავა გადაიჭრას მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით". დასასრულ იაპონიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მას განზრახული აქვს წარუდგინოს კონფერენციას „კონკრეტული წინადადებანი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის შესახებ, აგრეთვე წინადადება საყოველთაო მშვიდობის დაცვის შესახებ".

იორდანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ აზიისა და აფრიკის ხალხებს სურთ სრული თავისუფლება დასავლეთის იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმისაგან და მოითხოვენ მიეცეს მათ სრული დამოუკიდებლობა. შეეხო რა პალესტინის პრობლემას, იორდანიის დელეგატმა მოუწოდა კონფერენციის მონაწილეებს დახმარება გაუწიონ არაბთა ქვეყნებს, როგორც მან თქვა, „ისრაელის აგრესიის" წინააღმდეგ.

ლიბერიის წარმომადგენელმა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია დაახასიათა, როგორც „ამ ორი დიდი კონტინენტის ხალხთა ახალი გამოღვიძებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე მათი დიდი პასუხისმგებლობის შეგნების ახალი ხანის დასაწყისი. იგი უნდა შევაფასოთ ისე, რომ წარმოიშვა დინამიკური კონცეპცია, რომლის მიზანია შექმნა და გაძლიერება პოზიტიური და მტკიცე ინტერესისა იმისადმი, რომ მიღწეულ იქნას საყოველთაო მშვიდობა, მუდმივი მეგობრობა, მუდმივი თანასწორობა და უსაზღვრო სამართლიანობა ადამიანთა ოჯახის ყველა წევრისათვის, განურჩევლად რასისა, სარწმუნოებისა, ეკონომიური მდგომარეობის და განწყობილებისა".

ნეპალის დელეგატმა, მოითხოვა რა აზიისა და აფრიკის ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაფართოება, აღნიშნა, რომ ასეთი თანამშრომლობის რეალური საფუძველი შეიძლება გახდეს ხუთი პრინციპი, რომლებიც გამოაცხადეს ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ. ნეპალის დელეგატმა შეიტანა წინადადება, რომ კონფერენციამ განიხილოს ეს პრინციპები.

პაკისტანის წარმომადგენელი, რომლის მთავრობამ, როგორც ცნობილია, დადო სამხედრო პაქტი შეერთებულ შტატებთან, ამტკიცებდა, რომ მისი მთავრობა „გმობს ომის გამოყენებას საერთაშორისო დავის გადასაჭრელად". აშკარად ცდილობდა რა შეგუებოდა კონფერენციის საერთო ტონს, პაკისტანის დელეგატი ლაპარაკობდა იმაზე, რომ საჭიროა საბოლოოდ აღმოიფხვრას კოლონიალიზმი. ამასთან იგი შეეცადა, თუმცა ძალიან ფრთხილი ფორმით, ჩრდილი მიეყენებინა სსრ კავშირის საგარეო პოლიტიკისათვის.

პაკისტანის დელეგატმა მოუწოდა კონფერენციას მოიწონოს შემდეგი შვიდი პრინციპი, რომლებიც აუცილებელია, მისი სიტყვით, საყოველთაო მშვიდობის დაცვისათვის: 1. ყველა სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; 2. თვითეული დამოუკიდებელი და სუვერენული სახელმწიფოს თანასწორობის აღიარება; 3. სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევისაგან თავის შეკავება; 4. ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აგრესიის დაუშვებლობა; 5. როგორც ინდივიდუალური, ისე კოლექტიური თავდაცვის უფლება; 6. ყველა ხალხის თვითგამორკვევის უფლება და ყველა ფორმის კოლონიური ექსპლოატაციის დაგმობა; 7. ყველა საერთაშორისო დავის მოწესრიგება მშვიდობიანი გზით.

ფილიპინების წარმომადგენელმა რომულომ, რომელიც, როგორც ცნობილია, კონფერენციაზე ჩამოვიდა პირდაპირ ამერიკის შეერთებული შტატებიდან, წარმოთქვა პათეტიკური სიტყვა, რომლის მთელი აზრი ის იყო, რომ დაერწმუნებინა დელეგატები, რომ იგი კონფერენციაზე მაინც აზიის ერთ-ერთი ქვეყნის წარმომადგენელია და არა ამერიკის შეერთებული შტატებისა. რომულომ დაიწყო იმით, რომ ოდნავ უსაყვედურა შეერთებულ შტატებს იმის გამო, რომ ისინი „ზოგჯერ გამოდიან" კოლონიური სახელმწიფოების მხარეზე. ამავე დროს მან აქვე დაიწყო შეერთებული შტატების შექება, ხოტბა შეასხა რა მათ იმისათვის, რომ „დამოუკიდებლობა" მიანიჭეს ფილიპინებს. ამის შემდეგ ფილიპინების დელეგატი შეუდგა მსჯელობას „ერთპარტიული დიქტატურის საფრთხის", „პოლიციური კონტროლის" შესახებ და სხვ., აშკარად ცდილობდა რა ჩამოეშორებინა კონფერენციის ყურადღება კოლონიური ჩაგვრის, ექსპლოატაციისა და მშვიდობის დაცვის მწვავე საკითხებისაგან.

საერთო დისკუსია გაგრძელდება დღის მეორე ნახევარში.

ბანდუნგი, 19 აპრილი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს გაიმართა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის ეკონომიური კომიტეტის დახურული სხდომა.

სხდომის შემდეგ გამოქვეყნებულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ინდონეზიის ეკონომიკის მინისტრი როოსენო ერთხმად არჩეულია კომიტეტის თავმჯდომარედ.

კომიტეტის სხდომაზე მიიღეს შემდეგი დღის წესრიგი: 1. თანამშრომლობა ეკონომიკის განვითარებაში. 2. თანამშრომლობა ვაჭრობის განვითარებაში. 3. თანამშრომლობა სხვა დარგებში. 4. ატომის ენერგიის გამოყენება მშვიდობიანი მიზნებით. 5. ორგანიზაციული ასპექტები.

კომიტეტმა გადაწყვიტა, რომ დღის წესრიგის ხუთ საკითხში თვითეული განიხილება ცალკე, ამასთან თვითეულ საკითხზე დისკუსიის შედეგები სპეციალური მოხსენებით ეცნობება კონფერენციას.

ხვალ გაიმართება კომიტეტის მორიგი სხდომა.

## უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილება

ბუდაპეშტი, 18 აპრილი. (საკდესი). გაზეთ „საბად ნეპის" ცნობით, 14 აპრილს გაიმართა უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. ცენტრალურმა კომიტეტმა ერთხმად მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, რომ: ამხანაგი იმრე ნადი როგორც უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრიც და როგორც უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეც წარმოადგენდა ისეთ პოლიტიკურ შეხედულებებს, რომლებიც მკვეთრად ეწინააღმდეგება ჩვენი პარტიის მთელ პოლიტიკას, მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობის, სახალხო დემოკრატიის ინტერესებს. ამხანაგი ნადი ისწრაფოდა შეეფერხებინა სოციალისტური მშენებლობის მამოძრავებელი ძალები და განსაკუთრებით მძიმე მრეწველობის განვითარება, ხოლო სოფლად — სოციალისტური გარდაქმნის გადამწყვეტი საშუალება სოფელში საწარმოო კოოპერაციული მოძრაობა. იგი ისწრაფოდა უკანა პლანზე დაეყენებინა, მიეჩქმალა პარტიის ხელმძღვანელი როლი და ცდილობდა მისთვის დაეპირდაპირებინა სახელმწიფო ორგანოები და ნაწილობრივ სამამულო სახალხო ფრონტი. ამხანაგი იმრე ნადი ყოველივე ამით ხელს უშლიდა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების მტკიცე საფუძვლების ჩაყრას.

ამხანაგ იმრე ნადის ეს ანტიმარქსისტული, ანტილენინური, ანტიპარტიული შეხედულებანი წარმოადგენენ მთელ სისტემას და ვრცელდებიან პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული ცხოვრების სულ სხვადასხვა დარგებზე. ამხანაგ ნადის საქმიანობამ დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს პარტიას, სახალხო დემოკრატიას, მთელ ჩვენს სოციალისტურ მშენებლობას.

ამხანაგმა ნადმა თავისი მემარჯვენე ოპორტუნისტული პოლიტიკის განხორციელების ინტერესებისათვის მიმართა ანტიპარტიულ და ფრაქციულ მეთოდებსაც კი, რომლებიც შეუთავსებელია მარქსისტულ-ლენინური პარტიის დისციპლინასთან და ერთიანობასთან.

მიიღო რა მხედველობაში ყოველივე ეს, ცენტრალურმა კომიტეტმა გარიცხა ამხანაგი ნადი პოლიტბიუროდან და ცენტრალური კომიტეტიდან და გაიწვია ყველა პოსტიდან, რომლებიც მას პარტიის დავალებით ეკავა.

იმასთან დაკავშირებით, რომ მიხალ ფარკაში დიდი ხნის განმავლობაში მხარს უჭერდა ამხანაგ ნადის მცდარ შეხედულებებს, ცენტრალურმა კომიტეტმა გაიწვია იგი პოლიტბიუროდან და სამდივნოდან და მიანდო სხვა პარტიული სამუშაო.

ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტბიუროს წევრებად ერთხმად აირჩია ამხანაგები იშტვან კოვაჩი და იოჟეფ მეკიში და პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატად — ამხანაგი ლასლო პიროში.

## უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესიაზე

ბუდაპეშტი, 18 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო კრების სესია. სესია გახსნა სახელმწიფო კრების თავმჯდომარემ შანდორ რონაიმ. უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ იშტვან დობიმ პრეზიდიუმის სახელით უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წინადადებით სახელმწიფო კრების განსახილველად შეიტანა შემდეგი წინადადება:

სახელმწიფო კრება ათავისუფლებს იმრე ნადს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოვალეობისაგან, რადგან იგი დამაკმაყოფილებლად ვერ ასრულებდა თავის მოვალეობას. სახელმწიფო კრება უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ირჩევს ანდრაშ ჰეგედიუშს. სახელმწიფო კრება მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ირჩევს იოჟეფ მეკიშს.

სახელმწიფო კრების სესიამ ერთხმად მიიღო ეს წინადადება.

სახელმწიფო კრების წარსული სესიიდან, რომელიც შარშან 22 სექტემბერს დამთავრდა, განვლილ პერიოდში უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, საანგარიშო მოხსენება გააკეთა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის მდივანმა იშტვან დარაბოშმა.

სესიამ აგრეთვე ერთსულოვნად დაამტკიცა პრეზიდიუმის მდივნის ანგარიში.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ახალმა თავმჯდომარემ ანდრაშ ჰეგედიუშმა.

ფინანსთა მინისტრ კაროლ ოლტის წინადადებით სესიამ განსახილველად მიიღო 1955 წლის ბიუჯეტი და იუსტიციის მინისტრ ერიკ მოლნარის წინადადებით — უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის ცვლილებათა პროექტი.

## საბჭოთა ფლოტილია „სლავა" მონტევიდეოში

მონტევიდეო, 19 აპრილი. (საკდესი). მონტევიდეოში მოვიდა საბჭოთა კავშირის ვეშაპთსანადირო ფლოტილია „სლავა", რომელიც მე-9 ანტარქტიკული რეისიდან ბრუნდება. ფლოტილიის შემადგენლობაშია საფლაგმანო ხომალდი „სლავა" და 15 ვეშაპთსანადირო გემი. ურუგვაის საზოგადოებრიობა გულთბილად შეხვდა ფლოტილიას. ათასობით ადამიანი მივიდა ნაპირზე, რათა მისალმებოდა სახელგანთქმულ საბჭოთა ვეშაპთმონადირეებს. გაზეთები აქვეყნებენ ხომალდების ფოტოსურათებს და სტატიებს, რომლებშიც ხაზგასმით აღნიშნავენ რეისის წარმატებას.

საკდესის კორესპონდენტთან საუბარში ფლოტილიის კაპიტან-დირექტორმა ა. ნ. სოლიანიკმა განაცხადა, რომ, იმყოფებოდნენ რა ნახევარ წელიწადზე მეტ ხანს ანტარქტიკის მკაცრ მეტეოროლოგიურ პირობებში, საბჭოთა ვეშაპთმონადირეებმა წარმატებით შეასრულეს მათს წინაშე მდგომი ამოცანები. ნადირობა არ წყდებოდა შტორმის დროსაც კი, როცა 10-ბალიანი ქარი იყო. რეწვის დროს ფართოდ გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება და ბრძოლა გეგმის შესრულებისათვის. შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ვეშაპთსანადირო გემმა „სლავა-5", რომლის კაპიტანია აბესალომ ზენაიშვილი, მებარჯე — ალექსი ზოლოტოვი. სულ ფლოტილიამ დახოცა 3 ათასზე მეტი ვეშაპი და დააგროვა 30 ათას ტონაზე მეტი ვეშაპის ქონი და სხვა პროდუქტები.

სამშობლოსაგან შორს მყოფი ვეშაპთმონადირენი თავს არ გრძნობდნენ მისგან მოწყვეტილად. მოსკოვთან რეგულარული კავშირი გვქონდა რადიოთი. ვეშაპთმონადირეთა განკარგულებაშია ასზე მეტი მხატვრული და დოკუმენტალური ფილმი, ვრცელი ბიბლიოთეკა, რომელშიც 20 ათასზე მეტი წიგნია. ასამდე კაცი განაგრძობდა დაუსწრებლად სწავლას საშუალო სკოლებში, ტექნიკუმებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, მეცნიერმა მუშაკებმა დაამზადეს სელაპების, პინგვინებისა და ანტარქტიკის სხვადასხვა ფრინველის ექსპონატები. „სლავას" ზოოპარკებისა და სამეცნიერო დაწესებულებებისათვის მიჰყავს ცოცხალი პინგვინები.

22 აპრილს ფლოტილია „სლავა" ოდესაში გაემგზავრება.

## ავსტრიის „დემოკრატიული კავშირის" განცხადება

ვენა, 20 აპრილი. (საკდესი). „დემოკრატიული კავშირის" (ავსტრიის პროგრესული ორგანიზაცია) გამგეობამ გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია: მოსკოვის შეთანხმებათა დიდი უპირატესობანი ავსტრიისათვის დამაჯერებლად მოწმობენ, რომ ნეიტრალიტეტის პოლიტიკა ჩვენი ქვეყნის უშიშროებისა და თავისუფლების უზრუნველყოფის ერთადერთი სწორი გზაა, მაშინ როცა „ძალის პოზიციის" პოლიტიკა, რომელიც დღემდე ხორციელდებოდა, დამოუკიდებლობის გზას უხშობდა ავსტრიას.

„დემოკრატიული კავშირი" აღნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელშეკრულების მოწინააღმდეგენი თვით ავსტრიაში და მის ფარგლებს გარეთ შეეცდებიან ჩაფუშონ ურთიერთგაგების პოლიტიკის განხორციელება. ავსტრიის მთავრობამ, ნათქვამია განცხადებაში, გადაჭრით უნდა მოითხოვოს დასავლეთისაგან დაუყოვნებლივ მოეწყოს ოთხი სახელმწიფოს თათბირი.

### სპექტაკლი ვ. ი. ლენინის ბავშვობის შესახებ



...სცენაზე არიან ვლადიმერ, ოლღა და მათი დედა მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვები. ყველას სახეზე აღბეჭდილია ღრმა მწუხარება. დედა უამბობს მათ თავისი შვილის ალექსანდრეს ამბავს...

მაყურებელი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალს სცენაზე მომხდარ ამბებს, გმირების ყოველ მოქმედებას, დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის ბავშვობის სურათებს, რასაც გულწრფელი უშუალობით გადმოგვცემენ მსახიობები... მაგრამ ეს პროფესიული მსახიობები როდი არიან. ესენი არიან მოსწავლეები — თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის რუსული დრამატული წრის წევრები. მათ ვ. ი. ლენინის დაბადების 85-ე წლისთავის აღსანიშნავად დადგეს ი. პოპოვის პიესა „ოჯახი". გულმოდგინედ მოამზადებინა ბავშვებს ეს სპექტაკლი ახალგაზრდა რეჟისორმა კ. სურმავამ, მხატვრულად გააფორმა ახალგაზრდა მხატვარმა ი. ხუროშვილმა. მუსიკა დაწერა კომპოზიტორმა პ. ნალბანდიანმა.

წრეში გაერთიანებული მოსწავლეები დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ვ. ი. ლენინის ცხოვრების ერთ-ერთი პერიოდის ამსახველი პიესის განხორციელებას. მათ შეისწავლეს დიდი ბელადის ბიოგრაფია, ნახეს კინოფილმები ლენინზე, იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს—ენგელს—ლენინ—სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალში, სადაც გაეცნენ ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდებს. ახალგაზრდა ლენინის როლის შემსრულებელი მოსწავლე მ. სემიონოვი კონსულტაციისათვის რამდენჯერმე ესაუბრა საქართველოს სსრ სახალხო არტისტს კ. მიუფკეს.

სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა როგორც ნორჩ მაყურებლებში, ისე მოზრდილებში. განსაკუთრებით დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვასი — მე-10 კლასის მოსწავლემ ე. ანტონენკომ, ანა ულიანოვასი — ვ. მეისერმა. კარგად ასრულებდნენ როლებს აგრეთვე ე. მერაბოვა (ოლღა ულიანოვა), ლ. ტუჩკოვა (ვერა კაშკადამოვა), გ. ქებურია (დურნოვი) და სხვ.

სპექტაკლში მონაწილე მოსწავლეები დაჯილდოებულ იქნენ საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის და თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის საპატიო სიგელებით.

სურათზე: სცენა ი. პოპოვის პიესა „ოჯახის" მეექვსე სურათიდან (მარცხნიდან): ვლადიმერი (მ. სემიონოვი), ოლღა (ე. მერაბოვა), მარიამ ალექსანდრეს ასული ულიანოვა (ე. ანტონენკო).

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## უკრაინელ კოლმეურნეთა დელეგაცია მახარაძეში

მახარაძე. (საკ. კორ.). გუშინ მახარაძეში ჩამოვიდა უკრაინის სსრ ხერსონის ოლქის გენიჩესკის რაიონის კოლმეურნეთა დელეგაცია 21 კაცის შემადგენლობით.

ქალაქის ცენტრში სტალინის სახელობის მოედანზე სტუმრების პატივსაცემად გაიმართა მიტინგი, რომელსაც 4 ათასამდე კაცი დაესწრო. მიტინგი გახსნა მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. დ. საბაშვილმა. სიტყვები წარმოთქვეს პარტიის რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ვ. თოხაძემ, სოფელ შრომის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. მ. ორაგველიძემ, ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორმა ამხ. ი. გამყრელიძემ, მახარაძის რუსული საშუალო სკოლის XI კლასის მოსწავლემ ამხ. ნ. სურგულაძემ და სხვ.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა პარტიის გენიჩესკის რაიკომის მეორე მდივანი დელეგაციის ხელმძღვანელი ამხ. გ. გრიშჩენკო. მან თქვა: ერთი წელია, რაც მახარაძისა და გენიჩესკის რაიონები ერთმანეთს ეჯიბრებიან. ეს ხელს უწყობს ამ რაიონების სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით შესრულებას.

უკრაინელი სტუმრები მახარაძეში ხუთ დღეს დარჩებიან. ისინი შეაჯამებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს და გააფორმებენ ორ რაიონს შორის მიმდინარე წლის შეჯიბრების პირობებს.

## პოლონეთთან მეგობრობისადმი მიძღვნილი კინოფესტივალი

სსრ კავშირსა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და ომისშემდგომი თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების ხელმოწერის 10 წლისთავთან დაკავშირებით თბილისში 14-20 აპრილს კინოთეატრ „თბილისში" და გორკის სახელობის კლუბში მიმდინარეობდა პოლონური კინოფილმების ფესტივალი.

მაყურებლებმა ნახეს პოლონური კინოფილმები „ხუთნი ბარსკის ქუჩიდან", „საქმე რომელიც უნდა მოგვარდეს", „ვარშავის პრემიერა", „ჩემი საუნჯე", „ცხოვრების გზები", „ფრიგიის ვარსკვლავის ქვეშ", „შოპენის ყრმობა" და სხვ.

პოლონური კინოფილმები კინოთეატრ „თბილისში" და გორკის სახელობის კლუბში — 14.000-ზე მეტმა მაყურებელმა ნახა.

**25 აპრილს საღამოს 8 საათზე მოწვეულია თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს მეხუთე მოწვევის მეორე სესია.**

**სესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).**

რედაქტორი ნ. ჟაში.


**დღეს თბილისის თეატრებში**

**ოპერისა და ბალეტის** — მშვიდობისათვის, **რუსთაველის სახელობის** — პირველი ნაბიჯი, **მარჯანიშვილის სახელობის** — რაიკომის მდივანი, **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურობის წლები, **სომხური დრამის** — მშობლიური ქვეყანა, **მუსიკალური კომედიის** — პერიკოლა, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი № 20, 10 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წითელი ყელსახვევი (10 ს.), დაგვიანებული სიყვარული (5 ს.).

**კინოთეატრებში**

**ისანი, ოფიცერთა სახლი** — ლენინი ოქტომბერში, **რუსთაველის სახელობის** — თოფიანი კაცი, **კომკავშირელი** — ლენინი 1918 წელში, **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — თოფიანი კაცი.

**ყურადღება!**

**სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები აწარმოებენ სიცოცხლის ინდივიდუალურ დაზღვევას.**

**სიცოცხლის დაზღვევის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთი ან რამდენიმე სახეობის დაზღვევაზე სხვადასხვა ვადით და სხვადასხვა თანხით**

დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად და დაწვრილებითი პირობებისათვის მიმართეთ სახელმწიფო დაზღვევის ინსპექციას ან დაზღვევის აგენტს.

**სახელმწიფო დაზღვევის სამმართველო საქართველოს სს რესპუბლიკაში.**

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი**

აცხადებს კონკურსს სამკურნალო ფაკულტეტის საფაკულტეტო თერაპიის კათედრასთან ფიზიოთერაპიისა და კურორტოლოგიის დოცენტის თანამდებობაზე ნახევარი განაკვეთით. კონკურსის ვადა 10 დღე დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილება** აცხადებს მოსწავლეთა მიღებას მოსამზადებელ ჯგუფში და I კლასში ქ. თბილისის საბავშვო მუსიკალურ სკოლებში 1955-56 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობაზე:

1. **საფორტეპიანო კლასი.**
2. **საორკესტრო კლასი** (სიმებიანი და სასულე ინსტრუმენტები).

განცხადებები მიიღება 20 მაისამდე. მისაღები გამოცდები 25 მაისიდან 5 ივნისამდე. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლების კანცელარიაში შემდეგი მისამართით:

1-ლი საბავშვო მუსიკალური სკოლა — ენგელსის ქ. № 14, ტელეფონი 3-08-02, მე-2 საბავშვო მუსიკალური სკოლა — ორჯონიკიძის ქ. № 42, ტელეფონი 3-27-02, მე-3 საბავშვო მუსიკალური სკოლა — ათარბეგოვის ქ. № 38, ტელეფონი 3-46-48, მე-4 საბავშვო მუსიკალური სკოლა — საბჭოს ქ. № 127, ტელეფონი 3-60-21, მე-5 საბავშვო მუსიკალური სკოლა — კოჯრის ქ. № 1, ტელეფონი 3-63-46, მე-6 საბავშვო მუსიკალური სკოლა — ზაპოლიჩის ქ. № 29, ტელეფონი 3-07-98, მე-7 საბავშვო მუსიკალური სკოლა—დოლიძის ქ. № 1, ტელეფონი 3-86-07, მე-8 საბავშვო მუსიკალური სკოლა — უნივერსიტეტის ქ. № 42, ტელეფონი 3-17-26, მე-9 საბავშვო მუსიკალური სკოლა — ბარნოვის ქ. № 46, ტელეფონი 3-07-65, მე-10 საბავშვო მუსიკალური სკოლა — კრენკელის ქ. № 4, ტელეფონი 4-03-93.

**თბილისის სახელმწიფო ცირკი**

**დღეს და ყოველდღე**

**მოსკოვის ლენინის ორდენოსანი სახცირკის ხუმარა**

**კონსტანტინე ბერმანი**

**კლოუნების ჯგუფით**

**ძალოსანთა ატრაქციონი**

**მსოფლიოს რეკორდსმენის**

**გრიგოლ ნოვაკის**

**გასტროლები**

და განახლებული დიდი საცირკო წარმოდგენა 3 განყოფილებად.

დასაწყისი საღამოს 8 ს. და 30 წ.

კვირას 24 აპრილს

**დღის ორი საბავშვო წარმოდგენა**

დასაწყისი I — 12 ს., II — 3 ს.

ბილეთები იყიდება სახცირკის სალაროებში, რუსთაველის პროსპ. № 1 და № 24, ჩელუსკინელების ქ. № 31.

მიიღება შეკვეთები კოლექტიურ დასწრებაზე.

ბავშვები 16 წლამდე საღამოს წარმოდგენაზე არ დაიშვებიან.

მოქალაქე ალექსანდრე გიორგის-ძე ცოტაძემ, მცხოვრებმა ქართლის შესახვევი № 4, აღძრა საქმე იქვე მცხოვრებ შუშანა დავითის ასულ ნუცუბიძესთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე დავით, შვილები ოთარ, ფატი, ქეთო იუწყებიან

**გოარ გრიგოლის ასულ ამაშუკელის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 4 ს. ბარნოვის ქ. № 121 (ვაკე).

შვილები კოტე, გალინა, მარო ოჯახებით იუწყებიან

**პელაგია ბესარიონის ასულ ჯულელის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 24-IV სოფ. მეორე სვირში (ზესტაფონის რაიონი).

ძმა შალვა, და ქეთო ამბოკაძეები ოჯახებით იუწყებიან

**თამარ გრიგოლის ასულ საყვარელიძის**

გარდაცვალებას. გამოსვენება 21-IV, 5 ს. მახარაძის ქ. № 6.

მეუღლე სოფიო ნათესავებით იუწყება

**მიშა (მექი) ამბაკოს-ძე ხონელიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 22, 23-IV, 8 ს. გამოსვენება 24-IV, 3 ს. შევჩენკოს ქ. № 3.


**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, სამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრების და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-40-48, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის—3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

უე 00187 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.